# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ხერხის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 8 ივნისი, 2010 წელი.

№105 (6471)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.




## რატომ არ დაუფასა ხელისუფლებამ არჩევნების ბოიკოტი შალვასა და გუბაზს? 4





# პრეზიდენტის დაპირებების კორიანტელში 5

## ნაციონალებისგან ლოიალობას 2 ნუ მოელით!

## როცა 3 სტაბილურობა მოჩვენებითია

## საქართველოში ნარკობარონებსაც იტაცებენ 2

## 6 ქართველ ისტორიკოსებს საყვედურობენ ჩვენი სრულყოფილი, ობიექტური ისტორიის უქონლობაზე

## ნუთუ ბარონ მიუნჰაუზენს ქართველი წინაპარი ჰყავდა? 8



ნომრის კარიკატურა



პრესა – ფიანდაზად...



## დიდი ფეხბურთის 10 მოლოდინში

## 9 „მარადიული ებრაელის“ ავტორმა დუმილი დაარღვია

## როგორ 7 ამართლებენ ჩვენს მიმართ ჩადენილ ანექსიას

## რამ გააუფასურა ლარი და ვინ შეაჩერებს ამ პროცესს? 3

## ოპოზიცია ვერ გაიმარჯვებს 2 მანამ, სანამ...

## ◎ გუშინდელი ფოსტიდან

# ოპოზიცია ვერ გაიმარჯვებს მანამ, სანამ...

**1) ვერ მოაგვარებს ამომრჩეველთა ზუსტი რაოდენობის კონსენსუსით დადგენას! მიღებულ რიცხვს, ბუნებრივია, უნდა ეთანხმებოდეს, როგორც სახელისუფლებო, ასევე, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები!;**

**2) ძირფესვიანად არ განახლდება საარჩევნო კოდექსი, ანუ სანამ ისეთი კოდექსი არ შემუშავდება, რომელიც აბსოლუტურად თანაბარ პირობებში ჩააყენებს როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციურ პარტიებსა თუ კანდიდატებს!..**

**კერძოდ: ა) კატეგორიულად არ აიკრძალება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო კამპანიის დროს!... (არა სიტყვიერად, — ფაქტობრივად!);**

**ბ) ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით არ დადგინდება ბარიერი მხოლოდ და მხოლოდ 50% + 1;**

**გ) არ მიიღწევა პარიტეტი ცესკოს ყველა რგოლში!...**

**დ) ვერ მოხერხდება მთელი ოპოზიციური სპექტრის გაერთიანება და ერთიანი კანდიდატის შერჩევა!...**

ერთიანი კანდიდატის წამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რაზეც მშვენივრად მიანიშნა 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებმა, როდესაც დედაქალაქის ამომრჩეველთა უმეტესობამ მხარი ოპოზიციონერ კანდიდატს დაუჭირა!

პირველ პუნქტთან დაკავშირებით, დავუმატებთ შემდეგს: განახლებულ კოდექსში აუცილებლად უნდა შევიდეს შესწორება და ერთიანი საარჩევნო სიებიდან ამოღებულ იქნენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფაქტობრივად არ ცხოვრობენ ქვეყანაში მინიმუმ ბოლო ორი წლის განმავლობაში!

როდესაც ოპოზიციის მარტივ შეკითხვას: თუ 1990 წელს 5,5-მილიონიანი მოსახლეობიდან 3,5 მილიონი ამომრჩეველი იყო, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 4,3-მილიონიანი მოსახლეობიდან ისევ და ისევ 3,5 მილიონი ამომრჩეველი როგორღააო?! — ხელისუფლების მხრივ პასუხი არ ეცემა! — თავისთავად ბადებს საფუძვლიან ეჭვს.

რაც შეეხება დედაქალაქის მერის წლევანდელ არჩევნებს, რასაკვირველია, ერთიანი ოპოზიციონერი კანდიდატის შემთხვევაში, თანაც, ყველა ზემოჩამოთვლილი მოთხოვნის გათვალისწინებით, მოქმედი მერი უეჭველად შეიცვლებოდა.

დასაფიქრებელია, რომ არჩევნების შედეგი წინდაწინვე ზუსტად განჭვრიტეს ეროვნულმა ფორუმმა, ლეიბორისტებმა, ბურჯანაძე-დემოკრატიულმა მოძრაობამ და ბატონმა ლევან გაჩეჩილაძემ, რომელიც ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფრით ვერ შეაგნებინა ოპოზიციური პარტიების უმრავლესობას ერთიანი კანდიდატის წამოყენების აუცილებლობა.

ეს შეუვალი ფაქტია და მომავალში ამ პოლიტიკური სუბიექტების რეიტინგს უთუოდ წაადგება.

დაბოლოს: განახლებული საარჩევნო კოდექსის ნებისმიერი მუხლის დარღვევა უნდა ითვლებოდეს სისხლის სამართლის უმძიმეს დანაშაულად და ისჯებოდეს განსაკუთრებული სიმკაცრით.

**გიზო ზარნაძე,**
მწერალი, ჟურნალისტი.
ტელ: 98-57-29; 8(99) 53-82-74.
gizo@zarnadze.com
3.06.2010.

## ◎ გუშინ, დღეს...

# საქართველოში ნარკობარონებსაც იტაცებენ

**სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად თბილისში მოქმედი ორგანიზებულ-რეკეტული დაჯგუფების წევრები გრიშა კომახიძე და ლევან ღვინიაშვილი დააკავეს, რომლებმაც გამოძიებით ჯერჯერობით დაუდგენელ სხვა პირებთან ერთად, 2010 წლის 13 იანვარს, საქართველოში კოკაინის ტრაფიკის (საერთაშორისო სატრანზიტო გადაზიდვის) ხელმძღვანელი ნუგზარ ბოჭორიშვილი და მისი დაჯგუფების აქტიური წევრი გიორგი ჩეჩელაშვილი გაიტაცეს.**

შსს-ს ინფორმაციით, გრიშა კომახიძემ და ლევან ღვინიაშვილმა იცოდნენ, რომ ნუგზარ ბოჭორიშვილი ნარკოტიკული საშუალების სატრანზიტო ოპერაციებით იყო დაკავებული, აღნიშნულ საქმიანობაში მფარველობის სანაცვლოდ მათ 250 000 ევროს გადახდა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ. მათვე ნუგზარ ბოჭორიშვილის დაშინების მიზნით გადაწვეს კოჯორში არსებული მისი სახლი.

ბოჭორიშვილმა მათ 10000 დოლარი გადაუხადა, ხოლო თავად ესპანეთში გაემგზავრა, თითქოსდა დარჩენილი თანხის ჩამოსატანად.

ესპანეთში იგი ნარკოტრაფიკის ძირითად ორგანიზატორს და მის რეალურ მფარველს, ე.წ. კანონიერ ქურდს შაქრო კალაშოვს შეხვდა, რომელმაც ელგუჯა გურჩიანის მეშვეობით გრიშა კომახიძეს და ლევან ღვინიაშვილს შეუთვალა, რომ კოკაინის ტრანზიტი მისი ხელმძღვანელობის ქვეშ ხორციელდებოდა, აღნიშნულის შემდეგადაც ეს უკანასკნელები იძულებულები გახდნენ ჩამოშორებულიყვნენ ნუგზარ ბოჭორიშვილს.

გრიშა კომახიძე და ლევან ღვინიაშვილი ეჭვმიტანილები არიან



თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და გამოძალვაში, ასევე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვასა და ტარებაში. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 25 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ◎ პროტესტი

# ნაციონალებისგან ლოიალობას ნუ მოელით!

**პოლიციელის მიერ მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა სულ ერთი თვე გააჩერეს კორტებზე, პოლიციელთა მიერ დახოცილი ახალგაზრდების უკვდავსაყოფად დარგული სიცოცხლის ხეც უმოწყალოდ გაჩეხეს.**

ვანდალური ფაქტი, — ასეთ შეფასებას აძლევს ამ ქმედებას საზოგადოების ნაწილი, მაგრამ კონკრეტული დამნაშავე არ ჩანს. არც თვითმხილველები არიან, თუმცა იქვე დამონტაჟებული ვიდეოთვალის არქივი ამ ამბის უტყუარი მოწმეა. ვინაიდან პროკურატურა ამ ამბით არ დაინტერესდა, ფაქტია, რომ დანაშაულის კვალი ხელისუფლებისკენ მიდის.

**„ნაციონალურმა მოძრაობამ" სული მოითქვა, გაჭირვებული ხალხის გამოყენებით არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა, ხოლო მეორე დღიდანვე დაბრუნდა ძველ გზაზე** — აღნიშნა „ქართული აკადემიის" ერთ-ერთმა ლიდერმა **თემურ ნანეიშვილმა,** „ყოფილი პოლიტპატიმრების" ოფისში გამართულ შეკრებაზე, სადაც რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა მოიყარა თავი: „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის", „საზოგადოებრივი დარბაზი", „დაიცავი საქართველო", „ქართული აკადემია", „მოძრაობა „რატომ?"", „კოალიცია ჩვენი უფლებებისთვის", „სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვის საზოგადოება, მოძრაობა „7 ნოემბერი"", „კონსტიტუციის 42-ე მუხლი", „ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი", **„საგულისხმოა, რომ მემორიალური დაფა არჩევნების პირველადი შედეგების გამოცხადებისთანავე განადგურდა, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ თითქმის ერთთვიანი „თმენა" ხელისუფლების მიერ გატარებული „ფასადური დემოკრატიის" კიდევ ერთი გამოვლინება იყო. ამ ცინიკური და ღირსებისშემლახველი აქტით ხელისუფლებამ საკუთარი დამოკიდებულება გამოხატა საზოგადოების, უდანაშაულოდ მოკლული ახალგაზრდებისა და მათი ოჯახების მიმართ,** — ნათქვამია ტექსტში, რომელსაც ზემოჩამოთვლილი ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელმა მოაწერა ხელი. თუმცა მხოლოდ განცხადების გაკეთებით შემოფარგვლას არ აპირებენ: დღეს 16 საათზე, კორტებთან გამართულ საპროტესტო აქციაზე შეიკრიბებიან. ისინი განადგურებული მემორიალის აღდგენასა და ამ ბარბაროსული აქტის გამოძიებას მოითხოვენ.

ბრიფინგის დაწყებამდე ნანა კაკაბაძეს მანანა არჩვაძე-გამსახურდია დაუკავშირდა, რომელმაც ამცნო, რომ ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა სავალალოა, ხოლო მის ადვოკატს სოციალური სამსახურის უფროსი პატიმრის სანახავად შესვლის უფლებას არ აძლევს.

პატიმართა უფლებების შელახვაზე ილაპარაკა ადვოკატმა **გელა ნიკოლაიშვილმაც.** მისი თქმით, რუსთავის ახალგახსნილ პირველ საპყრობილეში სხვადასხვა დაწესებულებებიდან 1200 პატიმარი გადმოიყვანეს, რომელთა უმეტესობა თურმე სასტიკად ნაცემია. **სასჯელაღსრულების ადმინისტრაციამ ერთკვირიანი კარანტინი გამოაცხადა, ამიტომ ადვოკატებსაც კი არა აქვთ პატიმრის მონახულების უფლება. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა. პატიმართა სიაც კი არ არის გამოკრული, — აღნიშნა ნიკოლაიშვილმა და დასძინა, აი, ეს არის ჩვენი ხელისუფლების მოქმედების სტილი, ნუ ელით ნაციონალებისგან ხალხის მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას!**

**თეა მოსია**

## ◎ ინფორმაცია

# სანამ რეპეტიტორობას ჩამოართმევდნენ

**პარლამენტის წევრი ჯონდი ბაღათურია ხელისუფლებას სთხოვს, რომ მასწავლებლებისათვის რეპეტიტორობის უფლების ჩამორთმევამდე მათ სოციალურ უზრუნველყოფაზე იზრუნოს. ეს განცხადება ჯონდი ბაღათურიამ გუშინ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.**

როგორც მან აღნიშნა, მისი პოლიტიკური ძალა მასწავლებელთათვის რეპეტიტორობის უფლების ჩამორთმევის წინააღმდეგი არ ყოფილა, თუმცა მიიჩნევს, რომ ამ უფლების ჩამორთმევამდე აუცილებელია ხელისუფლებამ მასწავლებელთა სოციალურ უზრუნველყოფაზე იფიქროს.

ჯონდი ბაღათურიას ინიციატივით პედაგოგის ხელფასი უნდა შედგებოდეს მინიმალური საბაზისო 500 ლარისგან და ამას ემატებოდეს დანამატი დადგენილი წესით საათობრივი განაკვეთისა და ვაუჩერის მიხედვით, რაც ბაღათურიას გათვლით საერთო ჯამში პედაგოგის ხელფასს 700-900 ლარის ოდენობით განსაზღვრავს.



— ამის შემდეგ მაღალკვალიფიციური განათლება სკოლებში თავისთავად გახდება საფუძველი იმისა, რომ გაუქმდეს რეპეტიტორის ინსტიტუტი ყოველგვარი ხელოვნური ჩარევის გარეშე, — აცხადებს ბაღათურია.

# ნაცვლიშვილი რესპუბლიკელებს გაემიჯნა

**ლაშა ნაცვლიშვილმა რესპუბლიკური პარტიის რიგები დატოვა. მისი თქმით, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია განსაზღვრული პაუზის გაკეთება.**

— პარტიის დატოვების საბოლოო გადაწყვეტილება 30 მაისის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე მივიღე, მაგრამ არჩევნებამდე გადაწყვეტილების გახმაურება არ მინდოდა, — განაცხადა ნაცვლიშვილმა. მან მიზეზების დაკონკრეტებისაგან თავი შეიკავა. ნაცვლიშვილის თქმით,



გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მისი და პარტიის ლიდერების მოსაზრებები ერთმანეთს არ დაემთხვა.

# მოქალაქეობის მიღება გამარტივდა დისტანციური წესით

**საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება ქვეყანაში ჩამოსვლის გარეშე არის შესაძლებელი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურასთან დაკავშირებით განცხადების მიღების ონლაინ სისტემაა დანერგილი.**

ამ წესით საქართველოს მოქალაქეობა უკვე მიენიჭა 8 ადამიანს, ხოლო საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე უარი ეთქვა სამ პირს. პირველად ონლაინ მოქალაქეობის სერვისით ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა მოქალაქემ ცოტნე ჯავახიშვილმა ისარგებლა. ამჯერად დისტანციური წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით, განხილვაშია 21 ადამიანის განცხადება.

აღნიშნული ნოვაციით საქართველოს მოქალაქეობის მსურველ უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტის მეშვეობით, შეავსოს ონლაინ აპლიკაცია, დაასკანეროს ყველა საჭირო დოკუმენტი, ელექტრონულად მიაბას განაცხადს და დაარეგისტრიროს თავისი განცხადება. ამასთან, მან უნდა ამობეჭდოს შევსებული განაცხადი და ხელმოწერილი ვარიანტი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად დაზღვეული ფოსტით გააგზავნოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ვინ – ვის?



***თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე, გახდა თუ არა ირაკლი ალასანია ოპოზიციის ლიდერი და რას შეიძლება ველოდოთ ნინო ბურჯანაძის ირგვლივ ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი ოპოზიციური ჯგუფიდან, ასევე იმაზე, რამდენად სავარაუდოა, რომ ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების იდეა პოლიტიკური კლასის გარდა საზოგადოების მოთხოვნაც გახდეს, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგსა და ფილოსოფოსს, კახა კაციტაძეს ესაუბრა.***

# დღევანდელი სტაბილურობა მოჩვენებითია

**– ბატონო კახა, ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, არჩევნების შემდეგ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალობა ჩამოყალიბდა. თქვენც ასე ფიქრობთ?**

– ვერ ვიტყოდი, რომ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალობა ჩამოყალიბდა. პოლიტიკურ მეცნიერებებში ცნობილია რეჟიმების ტიპოლოგია, ანუ სხვადასხვა რეჟიმებს ახასიათებთ გარკვეული ლოგიკა და ლოგიკური განვითარების მსგავსება. რეჟიმი, რომლის ტიპსაც განეკუთვნება სააკაშვილის ხელისუფლება, მუნიციპალური არჩევნების გზით, არ იცვლება. პოლიტიკურ ისტორიაში ვერ მოძებნით პრეცედენტს, რომ ამ ტიპის რეჟიმის პირობებში ხელისუფლების ცვლილების შესაძლებლობა თვითმმართველობის არჩევნებით რეალური ყოფილიყო. თუ ვინმე ასე არ ფიქრობს, უნდა დაასაბუთოს, რატომ არის საქართველო ამ წესიდან გამონაკლისი, მაგრამ ასეთ საბუთს პირადად მე ვერ ვხედავ.

**– პოლიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ არჩევნების შემდეგ ირაკლი ალასანია ოპოზიციის ლიდერად ჩამოყალიბდა. იზიარებთ თუ არა ასეთ შეფასებას?**

– ისეთი პოლიტიკური კლიმატის პირობებში, როგორიც საქართველოშია, საუბარი იმაზე, რომ უკვე ვინმე ოპოზიციური მოძრაობის ლიდერად ჩამოყალიბდა, ძალიან ნაადრევია. საქართველოს უახლოესი ისტორიიდან ვიცით, რომ ასეთ ერთპიროვნულ ლიდერად 1987 ან 1988 წლებში ზვიად გამსახურდიაც კი არ იყო არც აღიარებული და არც ჩამოყალიბებული. მას კონკურენტები ჰყავდა.

ისეთი მაღალი ხარისხის გაურკვევლობის სიტუაციაში, რომელშიც ახლა ვართ, საუბარი იმაზე, რომ ლიდერი უკვე ჩამოყალიბდა, ძალიან ნაადრევია. ჩამოყალიბებული ლიდერი გულისხმობს იმას, რომ უკვე ჩამოყალიბებულია პოლიტიკური სპექტრი. ის, რომ ასეთი პოლიტიკური სპექტრი საქართველოში ჯერ ჩამოყალიბებული არაა, ამაში სადავო არაფერია. ალასანიას მიმართ საზოგადოებაში რომ ასეთი ერთმნიშვნელოვანი პოლიტიკური განწყობა არ არსებობს, ეს უკანასკნელმა არჩევნებმაც აჩვენა.

**– არჩევნების დასრულებისთანავე პარლამენტსგარეთ დარჩენილი ოპოზიციის ის ნაწილი გააქტიურდა, რომელსაც თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია. ექსსპიკერმა ნინო ბურჯანაძემ ახალი რევოლუცია პრაქტიკულად უკვე დააანონსა. უნდა გვქონდეს თუ არა ახალი რევოლუციის მოლოდინი?**

– რაც ვთქვი ერთი ოპოზიციური ცენტრის მიმართ, იგივე ძალაშია მეორე ოპოზიციური ცენტრის მიმართაც. საზოგადოება ისე ცალსახად არ არის სტრუქტურირებული და ჩამოყალიბებული, რომ ერთი ან მეორე ოპოზიციური ძალა პოლიტიკურ ლიდერად აღიაროს.

ერთ შემთხვევაში ჩვენ ჩავლილ პროცესთან, ანუ არჩევნებთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამ არჩევნების შემდეგაც ოპოზიციის საერთო ლიდერთან დაკავშირებით გაურკვევლობა დარჩა. რაც შეეხება მეორე ძალას, იგი ჯერ არ არის სტრუქტურირებული და ჩვენ კიდევ არ ვიცით ვინ გაერთიანდება მასში და საბოლოოდ როგორი იქნება იგი. ამიტომ მანამ, სანამ მეორე ოპოზიციური ჯგუფი საბოლოო სტრუქტურირებულ სახეს არ მიიღებს, მის პოლიტიკურ შესაძლებლობაზე საუბარი პრაქტიკულად შეუძლებელია.



ახლა იმაზე, უნდა ველოდოთ თუ არა რევოლუციას? პოლიტიკურ მეცნიერებებში არის მცნება – ექსპონენციალობა. ეს არის ვითარება, როდესაც რაღაცის პროგნოზირება პრინციპულად შეუძლებელია. ასეა არა იმიტომ, რომ ჩვენ რაღაც ცოდნა გვაკლია მოვლენების შესახებ, ან მეთოდოლოგია არ გვივარგა, უბრალოდ, მოვლენები თავად ქმნიან თავის თავს. ეს ვითარება შეიძლება შევადაროთ ქიმიურ რეაქციას, რომლის შედეგი რეაქციის დაწყების ან მიმდინარეობის საწყის ეტაპზე შეუძლებელია. უხეშად რომ ვთქვათ, ღვინო რომ დაიწყებს დუღილს, დუღილის დაწყების მომენტში პრაქტიკულად შეუძლებელია იწინასწარმეტყველო, რა ხარისხის ღვინო გამოვა. ერთი ზოგადი პრინციპით, ხშირად თუ გადაილებ ღვინოს კარგია, შეიძლება ცუდი ღვინო არ გამოვიდეს, მაგრამ წინასწარ იმის თქმა, თუ როგორი ღვინო გამოვა, მაინც ძნელი სათქმელი იქნება.

ღვინის დაყენების მსგავსი დუღილი მიდის დღეს საზოგადოებაშიც. უბრალოდ, დუღილის ინტენსივობა კარდიოგრამის ხაზივით, ხან მაღლა იწევს, ხან დაბლა. ამიტომ, პრინციპულად პროგნოზირება იმისა, მივიღებთ თუ არა რევოლუციურ სიტუაციას, შეუძლებელია. ერთი რამ კი შემიძლია ვთქვა – თუ მივიღებთ რევოლუციურ სიტუაციას, ეს მხოლოდ ხელისუფლების მოქმედების შედეგი იქნება.

**– პარლამენტსა და თვითმმართველობის გარეთ დარჩენილი ოპოზიციის ლიდერებმა უკვე განაცხადეს, რომ ისინი ხელისუფლებისაგან ვადამდელ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ. რამდენად შესაძლებელია, რომ ოპოზიციის ამ ნაწილის მოთხოვნა პოლიტიკური კლასის გარდა საზოგადოების მოთხოვნა აღმოჩნდეს?**

– სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკურ კლასზე საუბარი ძალიან ადრეა. ჩვენი უბედურების ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ ისაა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა 20 წელზე მეტი ხანია გამოაცხადა, მაგრამ ქვეყანაში პოლიტიკური ელიტა და პოლიტიკური კლასი არ არსებობს. მართლაც სამწუხაროა, რომ ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური კლასი არ ჩამოყალიბებულა. ვინც მოდის ხელისუფლებაში, ის წინა პოლიტიკურ კლასს „რეცხავს“. არ ჩამოყალიბდა ვითარება, როცა ხელისუფლება არჩევნების დამარცხების შემთხვევაში ძალაუფლებას ოპოზიციას გადააბარებს. კისინჯერმა თქვა კარგად – „პოსტსაბჭოთა სივრცეში ისეთი დაწყევლილი ვითარებაა, ან ხელისუფლებაში ხარ, ან ციხეშიო“. ასე რომ საქართველოში პოლიტიკურ კლასზე საუბარი ადრეა.

იქცევა თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები საზოგადოების მოთხოვნად, ეს ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ვიმეორებ, ეს პრინციპულად არაპროგნოზირებადია. ერთი კვირის წინ ეკონომიკის რამდენიმე ექსპერტი ლარის დაცემას კი პროგნოზირებდა, მაგრამ ეკონომისტები პოლიტოლოგებთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან. ბოლოს და ბოლოს რაოდენობრივი კატეგორიებით შეუძლიათ ოპერირება და პროგნოზირების უკეთესი საშუალება აქვთ.

**– თქვენი აზრით, შეძლებს თუ არა ხელისუფლება ქვეყანაში მდგრადი, სტაბილური ვითარების შენარჩუნებას?**

– სტაბილური ვითარება შეიძლება იყოს უაღრესად არამდგრად, ფეთქებადსაშიშ სიტუაციაშიც. 1917 წლის იანვარში მიიჩნევდნენ და მათ შორის ლენინიც თვლიდა, რომ რუსეთის იმპერიაში სტაბილური ვითარება იყო, მაგრამ ერთ თვეში რუსეთში თებერვლის რევოლუცია მოხდა. ასე იმიტომ მოხდა, რომ ვითარება ქვეყანაში არამდგრადი იყო.

როდესაც შევარდნაძემ 1999 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა, მე და რამდენიმე ექსპერტს გვთხოვეს ქვეყანაში ვითარების შეფასება. მე მაშინ შექმნილი ვითარება, პოსტსაბჭოური სისტემის ერთ-ერთი მთავარი ნიშნით – „მდგრადი არამდგრადობა“ დავახასიათე. „მდგრადი არამდგრადობის“ ვითარება არ შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს. არსებული ვითარების თვალსაჩინო სიმბოლო შეიძლება იყოს პიკასოს ნახატი, რომელზეც გოგონა ბურთზე დგას. რამდენ ხანს შეიძლება ბურთზე დგომა? დროის გარკვეულ მონაკვეთზე მეტად ბურთზე დიდხანს ვერ იდგები. სხვათა შორის, მაშინ ვამბობდი, რომ შევარდნაძის რეჟიმი ამ არამდგრად ვითარებაში ყოფნას დიდხანს ვერ შეძლებდა. 2003 წელს საქართველოში მართლაც მოხდა რევოლუცია.

თუ ხელისუფლებას ჭეშმარიტი სტაბილურობის მიღწევა უნდა, უპირველეს ყოვლისა, მდგრადობას უნდა მოაღწიოს. მდგრადობის მისაღწევად კი აბსოლუტურად სხვა საშინაო და საგარეო პოლიტიკაა გასატარებელი, ვიდრე ეს ხელისუფლება ატარებს.

**კობა ბენდელიანი**

## კომპეტენტური აზრი

***ლარის კურსი კვლავ ეცემა. 4-5 ივნისს ე.წ. შავ ბაზარზე მისი კურსი აშშ დოლარის მიმართ მკვეთრად გაუფასურდა და 1,88-დან 1,95-მდე ნიშნულზეც კი დაეცა. 3 ივნისს კი ოფიციალურად ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ 1,8431 ნიშნულზე განისაზღვრა.***



***რამ გამოიწვია ეროვნული ვალუტის ასეთი მკვეთრი გაუფასურება და რა საშიშროებას უნდა ველოდოთ ამისგან? ამ საკითხზე „მედიანიუსი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ნოდარ ხადურს ესაუბრა:***

# შეჩერდება ლარის გაუფასურება?

**– ბატონო ნოდარ, რამ განაპირობა ლარის კურსის ასეთი მკვეთრი დაცემა?**

– მოგეხსენებათ, საქართველოში იმპორტი ექსპორტს რამდენჯერმე აჭარბებს. ამავდროულად, სხვადასხვა წყაროდან უცხოური ვალუტების შემოდინებაში დოლარის რაოდენობა შემცირებულია. ამიტომ დოლარზე მოთხოვნილება გაზრდილია. როგორც ჩანს, საქართველოში უცხოური ინვესტიციები კვლავ შემცირებულია. ქვეყანაში დოლარის დეფიციტია. 6 წლის წინათ კი, პირიქით, დოლარი დიდი რაოდენობით შემოვიდა და ლარის დეფიციტი იყო, რამაც მისი გამყარება გამოიწვია.

ლარის გაუფასურება 30 მაისის არჩევნებამდეც ხდებოდა, მაგრამ ეს პროცესი, ასე ვთქვათ, „რბილად“ ვითარდებოდა. არჩევნების წინა დღეებში ლარის კურსმა აშშ დოლარის მიმართ 1,78-1,80 შეადგინა.

გასული კვირის პარასკევს კი კურსის ნახტომისებური ცვლილება მოხდა და ლარის კურსი 1,84 ნიშნულზე გაუფასურდა როგორც ჩანს, ამ ნახტომისებურმა ცვლილებამ არაორგანიზებულ სავალუტო ბაზარზე აჟიოტაჟი გამოიწვია და აქ ლარის კურსი 1,95-მდეც კი დაეცა. აღსანიშნავია, რომ შაბათ-კვირას არც ეროვნული ბანკი და არც სავალუტო ბირჟა არ მუშაობენ. ამიტომ ამ დროს ოფიციალური გაცვლითი კურსი ვერ დგინდება. შესაბამისად, ვალუტის არაოფიციალური გაცვლითი კურსი გაცილებით მაღალია, ვიდრე – ოფიციალური.

**– ბოლო ხანებში იმავე წინასაარჩევნო პერიოდში, ვალუტის კურსის რყევისას, ექსპერტთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევდა, რომ ლარის კურსის კორექტირებაში ეროვნული ბანკის ჩარევა საჭირო არ იყო. როგორ ფიქრობთ, ეროვნული ვალუტის კურსმა მიაღწია იმ ნიშნულს, რომ ეროვნულმა ბანკმა მისი სტაბილიზაციისათვის შესაბამისი ბერკეტები გამოიყენოს?**

– ალბათ, ეროვნული ბანკი ამ პროცესში ჩარევას დაიწყებს. ამისთვის, პირდაპირი მექანიზმის სახით, 2 მილიარდ დოლარზე მეტი საერთაშორისო სავალუტო რესურსი აქვს (თუმცა, ეს რეზერვები მხოლოდ გაცვლითი კურსის რეგულირებისთვის არ უნდა იყოს და არც იქნება გამოყენებული). თუკი ეროვნული ბანკი სიტუაციაში არ ჩაერევა, შესაძლოა, ვალუტის კურსის ნახტომისებური ცვლილება გაგრძელდეს და ამან უარყოფით შედეგებამდე მიგვიყვანოს, კერძოდ, გახდეს მაღალი ინფლაციის წყარო, რაც მოსახლეობის მსყიდველობით უნარზე პირდაპირ აისახება. ჩვენი სამომხმარებლო კალათის დიდ ნაწილს იმპორტირებული საქონელი შეადგენს, რომლის ფასი სწორედ დოლარით განისაზღვრება. ამიტომ ასეთი საქონელი, უპირველესად კი – პირველადი მოთხოვნილების – გაძვირდება. ამასთან, აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასი მცირდება, რომელიც ასევე დოლარშია ფიქსირებული. შესაბამისად, საქართველოში დოლარის გაძვირება ნავთობპროდუქტების ფასებზე, შესაძლოა, მყისიერად არ აისახოს.



**– ლარის კურსის ბოლოდროინდელმა რყევამ თუ მოახდინა გავლენა სამომხმარებლო ფასებზე?**

– მოახდინა. ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირებული საქონელი გაძვირებულია.

**– ექსპერტები ხშირად შენიშნავენ, რომ ლარის კურსის კორექტირებისთვის ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მუდმივად გამოყენება მისთვის წამგებიანი აღმოჩნდება...**

– რასაკვირველია. აქ ლაპარაკია იმაზე, თუ რად შეიძლება დაუჯდეს ეროვნულ ბანკს ლარის კურსის შენარჩუნება. მას ლარის იმდენად გამყარება შეუძლია, რომ 1 აშშ დოლარის ღირებულება 1 ლარი გახდეს. მაგრამ ბანკს ასეთი ნაბიჯი იმ 2 მილიარდ დოლარად დაუჯდება, რაც საერთაშორისო სავალუტო რეზერვის სახით აქვს. ეროვნულმა ბანკმა კარგად უნდა დაიანგარიშოს (და მას ამისთვის მაღალი დონის პროფესიონალები ჰყავს), რა დაუჯდება ვალუტის კურსის შენარჩუნება და ამის შემდეგ განსაზღვროს, ღირს თუ არა კურსის შენარჩუნება. ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურება, არშენარჩუნება გამოიწვევს ინფლაციას, ისედაც მყიფე მაკროეკონომიკური სტაბილურობის დარღვევას. ამან, შესაძლოა, ფინანსური კრიზისისკენ შეაბრუნოს ქვეყანა, სადაც ამავე კრიზისიდან გამოსვლის ნიშნები უკვე შეიმჩნევა. ეროვნულმა ბანკმა სასწორის ერთ პინაზე ის რისკები უნდა დადოს, რაც ლარის კურსის გაუფასურებას ახლავს, მეორეზე კი – თანხის ის ღირებულება, რომლიც კურსის შენარჩუნებას დასჭირდება და შემდეგ გადაწყვიტოს, რა ზომების მიღებაა საჭირო. იმედია, სავალუტო რისკებს ზემოთ ხსენებული გამოცოცხლება არ შეეწირება.

სკანდალი არჩევნების შემდეგ

**_ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დასრულების შემდგომ, „ეროვნულმა ფორუმმა“ და ლეიბორისტებმა საზოგადოებისათვის ხელისუფლების მიერ მათთვის შეთავაზებული გარიგებების შესახებ ინფორმაცია საჯარო გახადეს. საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერის გუბაზ სანიკიძის განცხადებამაც იმის თაობაზე, რომ თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობის სანაცვლოდ, შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი შუამავლების მეშვეობით მას დიდი ოდენობით თანხას სთავაზობდა. საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსმა“ არშემდგარი ფარული გარიგებების შესახებ კომენტარი პოლიტოლოგ ვაჟა ბერიძეს სთხოვა._**



# ხელისუფლებას სანიკიძესა და ნათელაშვილისთვის ფული არჩევნების ბოიკოტირებისთვის უნდა შეეთავაზებინა

**— ბატონო ვაჟა, როგორ შეაფასებთ „ეროვნული ფორუმისა“ და ლეიბორისტების არჩევნების შემდგომ გაკეთებულ განცხადებებს შსს-ის შეთავაზებებთან დაკავშირებით?**



— შეიძლება ქვეყანაში ვერ ხერხდებოდეს სამართლიანი არჩევნების ჩატარება და ამას რუსული საფრთხის არსებობით ხსნიდნენ. ცივილიზებული ქვეყნისთვის მიუღებელი ასეთი ნონსენსიც კი დასაშვებია საქართველოში, მაგრამ როცა ქართული პოლიტიკური კლასის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი — გუბაზ სანიკიძე სენსაციურ განცხადებას აკეთებს და ამის თაობაზე დუმს როგორც ხელისუფლება, ისე საზოგადოება, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა დასრულდა.

მე არ შევეხები მოცემული განცხადების ფაქტობრივ მხარეს. შეგახსენებთ, რომ ასეთივე შინაარსის განცხადება ადრე გააკეთა შალვა ნათელაშვილმაც. მან ამცნო საზოგადოებას, რომ ჰქონდა შეთავაზება ხელისუფლებისგან, მიეღო მონაწილეობა არჩევნებში და ამის სანაცვლოდ ჰპირდებოდნენ „ციურ მანანას, რძის მდინარეებს და ოქროს ნაპირებს“. ეს განცხადებაც თითქოსდა შეუმჩნეველი დარჩა. გამოხდა ხანი და უკვე გუბაზ სანიკიძე კიდევ უფრო კონკრეტულ განცხადებას აკეთებს, თითქოსდა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა შუამავლების მეშვეობით, მას დიდი თანხა შესთავაზა თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობის სანაცვლოდ. ეს ორივე განცხადება ჯერჯერობით მხოლოდ საზოგადოების ერთი, მცირე ნაწილის შეშფოთებასა და აღშფოთებას იწვევს.

ჯერ ერთი, გაუგებარია და აუხსნელი, ამ განცხადებების გაკეთებისთანავე, შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა რატომ არ დაიწყეს გამოძიება. ქვეყნის ერთ-ერთ პირველ პირს უმძიმეს დანაშაულში ედება ბრალი და ამას აკეთებს არა რომელიმე რიგითი მოქალაქე, არამედ ქართული პოლიტელიტის ორი თვალსაჩინო წარმომადგენელი. მეორე მხრივ, გაუგებარია, ასეთი განცხადებები გამოცდილი პოლიტიკოსების მხრიდან, რატომ არ გაკეთდა ასეთი შეთავაზების მიღებისთანავე. გასაგებია, რომ მსგავსი შეთავაზება, თუ მას ჰქონდა ადგილი, გაკეთდებოდა ამ პოლიტიკოსების უახლოესი ადამიანების მეშვეობით. მათი არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაყენებას კი ადამიანური თვალსაზრისით, ბუნებრივია, მოერიდებოდნენ, როგორც ბატონი შალვა ნათელაშვილი, ისე ბატონი გუბაზ სანიკიძე. მაშინ სად არის გამოსავალი? ვანო მერაბიშვილს, შეუძლია, როგორც ამას ორი ავტორიტეტული პოლიტიკოსი ამტკიცებს, შესთავაზოს უკანონო გარიგება ამ ლიდერებს, ხოლო ნათელაშვილს და სანიკიძეს შეუძლიათ ეს დანაშაულებრივი ქმედება დაფარონ? ეს არის უპასუხისმგებლობის აპოთეოზი და მკაფიო გამოვლინება, როგორც სახელისუფლო სტრუქტურების, ისე ჩვენი პოლიტიკური ელიტის მხრიდან.

**— შალვა ნათელაშვილისა და გუბაზ სანიკიძის პასუხისმგებლობაზე საუბრობთ?**

— ამ გზით თუ ვიარეთ, ჩვენ არათუ სამართლიან არჩევნებს ვერ ჩავატარებთ, არამედ საერთოდ საქართველოს მომავალს დავაყენებთ ეჭვქვეშ. ყველაფერი, რაც ითქვა საინფორმაციო საშუალებებში, რომ დავუშვათ და მივიღოთ უტყუარ ინფორმაციად, არ შეიძლება ერთი სერიოზული შეუსაბამობა არ შევნიშნოთ — ყველა ლოგიკით, ადამიანურითაც, რაციონალურითაც და ირაციონალურითაც, ხელისუფლებას და მმართველ გუნდს ფული გუბაზ სანიკიძესა და შალვა ნათელაშვილისთვის უნდა შეეთავაზებინა არა არჩევნებში მონაწილეობის მიღების სანაცვლოდ, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ბოიკოტირებისთვის. თუ მათი პარტიები არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდნენ, ხელისუფლებას და მის სატელიტ პარტიებს არჩევნებზე მისული მოქალაქეების ხმების მინიმუმ 20 პროცენტი დააკლდებოდა („ეროვნული ფორუმის“ მომხრეები — 10-13 პროცენტი; ლეიბორისტების მხარდამჭერები — 7-10 პროცენტიძ. ამ ლიდერების და მათი პარტიების მონაწილეობა არჩევნებში კი სახელისუფლო კანდიდატის — გიგი უგულავას მიერ 30-პროცენტიანი ბარიერის გადალახვას აყენებდა ეჭვქვეშ. ესეც ამ ისტორიის უცნაური პასაჟია.



იმედია, ქართული საზოგადოება კიდევ ერთხელ არ დარჩება შეურაცხყოფილი და იმედგაცრუებული და ჩვენი პოლიტიკოსების ამ სენსაციურ განცხადებებზე მივიღებთ კონკრეტულ და დასაბუთებულ პასუხს.

ინფორმაცია

## მივიღებთ მონაწილეობას სოჭის ოლიმპიადაში?

**— 2010 წელს იმაზე მსჯელობა მიიღებს თუ არა საქართველო 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობას ნაადრევია, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ განაცხადა.**

**მისი შეფასებით, ოლიმპიური თამაშები პოლიტიკისგან და სახელმწიფო ჩარევისგან ძალიან შორსაა, თუმცა რუსეთის მიერ 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ომის შემდეგ, რასაც კრემლის მხრიდან ქვეყნის 20% ოკუპაცია მოჰყვა, სოჭის ოლიმპიადამ სხვა დატვირთვა შეიძინა.**

**— 2010 წელს იმაზე მსჯელობა საქართველო მიიღებს თუ არა სოჭის 2014 წლის ოლიმპიადაში მონაწილეობას ნაადრევია. დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით ეს გაუმართლებელია, თუმცა იმედი გვაქვს, რომ 2014 წლისთვის ეს რეალობა 100% არ შენარჩუნდება. რაც შეეხება სხვა ქვეყნების პოზიციას, ეს მათი გადასაწყვეტია, რამდენად უღირთ უსაფრთხოების ასეთი ნორმების დაცვის გათვალისწინებით მასში მონაწილეობის მიღება, — აღნიშნა ჯალაღანიამ.**

**მისივე თქმით, ქართული მხარე ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხებითაა დაკავებული, ვიდრე 2014 წელს მონაწილეობის მიღება-არ მიღების საკითხი. კერძოდ კი, საგარეო უწყება საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდებს რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროდან ინერტული მასალების და ტრანსპორტის უკანონო გამოყენებაზე ადეკვატური რეაგირება მოახდინოს.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ




„ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“

# ვითარება სასაზღვრო სოფლებში არ გაუმჯობესებულა

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“ რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ გორის რაიონის ე.წ. სასაზღვრო სოფლებში მოსახლეობას სამართლებრივად ეხმარება და ახორციელებს მონიტორინგს.**

მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ქვეკომისიის მიერ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დამტკიცებული ქონებრივი რესტიტუციის — „პინეიროს პრინციპები“. მონიტორინგის მიზანია: დადგინდეს, რამდენადაა დაცული ეს პრინციპები, ანუ შეესაბამება თუ არა ე.წ. სასაზღვრო სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის დღევანდელი მდგომარეობა ომამდე არსებულს.

მონიტორინგის ფარგლებში, ორგანიზაციის თანამშრომლები პერიოდულად ჩადიან კონფლიქტის ზონაში და ხვდებიან მოსახლეობას. მორიგი გასვლა შედგა გორის რაიონის სოფლებში — ერგნეთსა და ტყვიავში. მათ მოსახლეობას შეავსებინეს კითხვარი, რომელიც ეხება ქონებრივ მდგომარეობას აგვისტოს ომამდე და ომის შემდეგ, დაზარალებულ ოჯახებთან და, საერთოდ, მოსახლეობასთან ხელისუფლების დამოკიდებულებას და დღეისათვის მათ ოჯახებში არსებულ სოციალურ ვითარებას.



„ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ იურისტები მოსახლეობას ადგილზე სამართლებრივად დაეხმარნენ და კონსულტაცია გაუწიეს, კერძოდ, აუხსნეს, თუ კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად რომელ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მიმართონ.

მოსახლეობის უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ვითარება გაუმჯობესების ნაცვლად, გაუარესდა, თითქმის გაუსაძლისია მათი საყოფაცხოვრებო პირობები, მძიმე ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, პრობლემებია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დამუშავებისა და მოწეული მწირი მოსავლის გაყიდვის თვალსაზრისით. მოსახლეობის განცხადებით, ისინი უყურადღებოდ მიატოვა როგორც ცენტრალურმა ისე ადგილობრივმა ხელისუფლებამ. მათივე განცხადებით, იანვრიდან აღარ იღებენ სახელმწიფო დახმარებას. მათ არ ანიჭებენ სოციალურად დაუცველის სტატუსს.

**ნატა ნიბლაძე**

ბურუსიანი მოლოდინი

# პრეზიდენტის მარად დაუვიწყარი დაპირებები და ქვეყნის „მსწრაფლდავიწყებადი“ ინდუსტრიაზონები



**რა აღარ ხდება ამ ცოდვა-მადლით გალიცლიცებულ საწუთროში. აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ იმ ქვეყნის მეთაური და უმაღლესი მთავარსარდალი, რომლის შიშით მაღლა არწივს ვერ გადაუფრენია და დაბლა — ბეღურას, იმდენად გადემოკრატდებოდა, რომ ოპონენტების კრიტიკასა და ლანძღვაგინებას, ცალ-ცალკე აღებულსა თუ ერთად შეზავებულს, სუკის მწვადივით, გნებავთ, საყვარელი სუშივით დააგემოვნებდა. ამას რა დამაჯერებდა, ბატონ მიხეილ სააკაშვილს თვითმმართველობის არჩევნების შედეგების შეჯამებისას, საკუთარი პირით რომ არ განეცხადებინა: ამ მამაცხონებულებმა (ოპოზიციონერებს გულისხმობდა) ბოლო პერიოდში ისე დაიტკბეს ენაპირი, ისე შეეშვნენ ჩემს უნაპირო განქიქებასა და ლანძღვას, თავი ერთგვარად მიტოვებულადაც კი ვიგრძენიო.**

ღმერთო კი მომკალი, განა ასეთი რა შესცოდა პრეზიდენტმა მამაზეციერს, რომ ის ოპონენტებმა გასანაპირებლად და ყვავ-ყორნების საჯიჯგნად გაიმეტეს-თქო, გავიფიქრე ჩემთვის, უცაბედად თვალწინ დამიდგა პოეტის ლიტერატურული გმირი — მეფე ლირი, „ლირი ყველასგან მიტოვებული“ და გული საშინლად დამეფუფქა.

უფრო საოცარი შემდეგ მოხდა, როცა ლირიული წიაღსვლებიდან მოტრიალებული პრეზიდენტი როგორღაც რეალობას დაუბრუნდა (რაც მისთვის უჩვეულოდ აღიქმებაძ და ოპოზიციური პარტიების მიერ წინასაარჩევნოდ გამოტანილი ცრუ დაპირებების გამო აღშფოთება ვერ დამალა. ხედავთ, ხალხო, რეებს ბედავენო, — აიჩქროლა გული სააკაშვილმა, — ჩვენ რომ ხელისუფლებაში მოვდიოდით, რაღაც ორი-სამი მცირე დაპირების შემოგდება ძლივს გავბედეთ, ესენი კი ლამის უკვე ჩინურ კედლებს გადაახტნენო. ამათი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენ ერთი ტყუილიც არ დაგვცდენია, რასაც შევპირდით ხალხს, ყველა უკლებლივ შევუსრულეთო.

**იმდენი კბილი ჩამოგვარდეს, რამდენიც ჩვენთვის მოგიტყუებიაო, იტყვიან ხალხში ასეთ დროს. თუმცა პრეზიდენტი რის პრეზიდენტია, გაუკადნიერდნენ და ტყუილების დათვლა გაუბედონ. თავად პრეზიდენტს კი, როგორც ყველასთვის ცნობილია, გამბედაობა არ აკლია და იმდენ ტყუილს ახვავებს, მათი დაჯამება უახლესი თაობის კომპიუტერსაც გაუჭირდება.** აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ვერც მე გავრისკავ სააკაშვილის ნატყუარის უკლებლივ აღნუსხვას, რამდენიმე ფაქტის მოშველიებით იმას კი ვიტყვი, ხელისუფლებამ და პირადად პრეზიდენტმა, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებთან დაკავშირებით, ხალხს როგორი ილუზიები შეუქმნეს.

ამის საილუსტრაციოდ მარტო ფოთიდან ზღვის ტალღებს ადევნებული „ინდუსტრიული ზღაპრები“ რად ღირს. აბა გავიხსენოთ, რამდენჯერ დაგვაიმედა საქართველოს საზღვაო კარიბჭიდან გაკეთებული „რეპორტაჟებით“ სააკაშვილმა, მალე ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ამოქმედდება, ეკონომიკა მაისის ვარდივით აყვავდება, ცხოვრებ-ქონება ჭერახივით დაიყრება, იმდენი სამუშაო ადგილი გაჩნდება, ხალხის მოკრება მეზობელი რეგიონებიდანაც დაგვჭირდებაო. ახლა ქუთაისი? აქ პრეზიდენტმა დაპირებების ისეთი ქარბორბალა დაატრიალა, ლამის შენობებს სახურავები გადახადა. აღარაფერს ვამბობ ბათუმსა და ხელვაჩაურზე, სადაც ხელმწიფის ტრაბახით შემცბარმა ზღვამ რამდენიმე მეტრით ამოიწია(!ძ.

მაგრამ ტრაბახი ერთია და საქმე კიდევ მეორე. **რეალობა ის გახლავთ, რომ ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის პრეზენტაცია, რომელიც მაისის ბოლოს უნდა გამართულიყო, კიდევ ერთი თვით გადაიდო. რატომ, არ იკითხავთ? არსებული ინფორმაციით, თურმე ხელისუფლებამ კომპანია „თბილცემენტის“ გარდა ფოთში სამუშაოების საწარმოებლად სხვა ვერც ერთი კომპანია ვერ დაიყოლია. არადა გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ფოთის ინდუსტრიულ ზონას 22 უცხოური და ადგილობრივი საწარმო უნდა აშენებდეს. ამ ზონის ოპერატორი „რაკ ჯორჯია ჰოლდინგი“, რომელიც ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე წლის ბოლომდე 400 ობიექტის ამუშავების და 25 ათასი სამუშაო ადგილის შექმნის პირობას დებდა, წარუმატებლობის მიზეზებზე საუბარს, გაჩუმებას ამჯობინებს.**

ფოთის მოსახლეობა, აი უკვე რამდენი ხანია, ხელისუფლებისგან მრავალგზის დაპირებულ სამუშაოს და გალაღებულ ცხოვრებას ელოდება, ინვესტორები კი, თითქოს პირი შეკრესო, არსად ჩანან. როგორც კულუარული ინფორმაციით ირკვევა, ისინი მთავრობამ ვერ დააინტერესა.

თითქმის იგივე სიტუაციაა საქართველოს მეორე დედაქალაქში — **ქუთაისში, სადაც მთავრობის და პირადად სააკაშვილის არაერთგზის განცხადებით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა მუშაობს, ხალხი ისევ დაუსაქმებელია(!). ეს როგორაო, არ იკითხავთ? ამაზე პასუხი ერთადერთ ეგვიპტურ კომპანია „ფრეშსა“ აქვს, რომელიც იმის ნაცვლად, რომ საქართველოში პროდუქცია აწარმოოს, მხოლოდ ეგვიპტიდან ჩამოტანილი პროდუქციის შეფუთვით არის დაკავებული. თანაც ერთი ნაწილი მუშახელისა, რომელიც შეფუთვაზეა დასაქმებული, ეგვიპტიდან ჩამოყავს.** სამაგიეროდ დასახელებული ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტის შენობის აგება, რომელსაც არაოფიციალური წყაროს ინფორმაციით კომპანია „მაგი სტილი“ აშენებს. ისევე როგორც მტკვარზე აშენებული „შუშის ხიდის“, გმირთა მოედანზე ახლახანს აგებული მონუმენტისა და მრავალი სხვა პროექტის დარად, ქუთაისური პარლამენტის მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობისა და ტენდერის თაობაზეც ქართველმა საზოგადოებრიობამ ოფიციალურად არაფერი იცის. ექსპერტთა აზრით კი ხარჯები, სავარაუდოდ, 100-150 მილიონ ლარს მიაღწევს.

ამასობაში კი დღემდე გაურკვეველია ქუთაისის მეორე ინდუსტრიული ზონის ბედიც, რომლის მართვის ლიცენზია ჩინურ კომპანია „ჰანგალი ინდასტრის“ აქვს გადაცემული. დაიწყო თუ არა მან ზონაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვის და ხის დამმუშავებელი ქარხნების აშენება, დღემდე უცნობია. **ამ დრომდე არ დაწყებულა თბილისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მშენებლობაც, რომელიც ებრაულმა კომპანია „ტერა 1“-მა უნდა განახორციელოს და არც რუსთავისა, რომლის ასაშენებლად ბიზნეს-ჯგუფმა ქიმბოჭკოვანი ქარხნის ტერიტორია ჯერ კიდევ სამი წლის წინათ შეიძინა. აჭარის მთავრობამ კი, რომელიც ოპერატიული საქმიანობით გამოირჩევა, ხელვაჩაურში დაგეგმილი ინდუსტრიული ზონის მშენებლობით დაინტერესებული ინვესტორი ჯერაც ვერ იპოვა(!).**

რა მოხდა, ისევე როგორც ხელისუფლების მიერ წამოწყებულმა ქვეყნის ბევრმა სხვა აღმშენებლობითმა ინიციატივამ, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნის მთავრობისეულმა ზღაპრებმა რატომ ჩაისვარა? აკი პრეზიდენტი სააკაშვილი გვეტრაბახებოდა, მალე საქართველოში მეორე დუბაისა და სინგაპურს ვიხილავთო?! რა თქმა უნდა, ხელისუფლებას, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც თავის სამართლებელი „საბუთის“ მოსაძიებლად ჯიბეში ხელის ჩაყოფა არ დასჭირდება. წინასწარვეა ცნობილი, რასაც იტყვის: არჩევნებმა გვაზარალა, ბატონებო, არც ერთი ინვესტორი იმ ქვეყანაში თანხას არ დააბანდებს, სადაც მყარი პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო არ ეგულებაო. მთავრობამ საარჩევნო გამოცდა წარმატებით ჩააბარა და საკუთარი თვალით ნახავთ, ინვესტორები მალე მთელი მსოფლიოდან როგორ დაგვესევიანო.

ვერაფერს იტყვი, მაგარი არგუმენტია. სულ მალე საქართველოს იმდენი ინვესტორი მოაწყდება, მათ გადასანაწილებლად მთავრობას ალბათ თავის მოსაფხანი დროც აღარ დარჩება. ასეთ პირობებში არ გაგიკვირდეთ, თუ თავისუფალ ზონებს საქართველოს შემდეგ საჩუქრად კანარის კუნძულებსა და ძველ მესოპოტამიასაც ავუშენებთ. აბა როგორ, საკუთარ საქმეს რომ მოვრჩებით, გარეთაც ხომ უნდა გავიხედოთ!

ოთარ ხუციშვილი

ინფორმაცია

# „რუსეთ-საქართველოს ომი“ ესტონურად

**ესტონეთში 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისადმი მიძღვნილი წიგნი გამოვიდა. კრებული „ნოვაია გაზეტას“ მასალების მიხედვითაა შედგენილი. ოსური მედია აღნიშნული წიგნის შესახებ, წერს, რომ „წიგნი საკმაოდ თავისებურ ჭრილშია გაშუქებული და მასში ერთმნიშვნელოვანი შეფასება არაფერს მიცემული არ აქვს“.**



წიგნის სახელწოდებაა „რუსეთ-საქართველოს ომი“. წიგნი გამოსულია 1000 ტირაჟით. „ნოვაია გაზეტას„ მთავარი რედაქტორის სერგეი კოჟეუროვის ინფორმაციით, წიგნი მხოლოდ ესტონურ ენაზეა გამოცემული.

მისივე თქმით, „ნოვაია გაზეტა“ არ არის დაკავებული პროპაგანდით, წიგნში არ არის მოვლენების ერთმნიშვნელოვანი შეფასება, „იმიტომ რომ ასეთ ომებში გამარჯვებული არ არსებობს. არც საქართველოს და არც რუსეთს ამ ომში არაფერი მოუგიათ. ამგვარ კონფლიქტებში ერთმნიშვნელოვნად ვერ იტყვი ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი“, — აცხადებს „ნოვაია გაზეტას“ რედაქტორის მოადგილე და დასძენს, რომ მისი აზრით, ამ ომში ყველა დამნაშავეა — „ერთნი იმაში, რომ თავის მიზნების განხორციელებას ცდილობდნენ და ამით კონფლიქტის პროვოცირება მოახდინეს, მეორენი იმაში, რომ მხარი დაუჭირეს ამ პროვოკაციებს და მესამენი იმაში, რომ წამოეგნენ ამ პროვოკაციებს და მძიმე შეიარაღება გამოიყენეს“.

წიგნის წინასიტყვაობა მარტ ლაარის — ესტონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის დაწერილია, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი იყო. ლაარი ასევე ცნობილია თავისი რადიკალიზმითა და რუსეთისადმი თავისი მკვეთრი განცხადებებით.

ოსური მხარე წერს, რომ სწორედ ლაარი იყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც სააკაშვილს ე.წ. სამხრეთ ოსეთში ომის დაწყება ურჩია. „სააკაშვილს სხვა არაფერი რჩებოდა სამხედრო ოპერაციის ჩატარების გარდა, — აცხადებდა ლაარი საქართველოდან დაბრუნების შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთ-საქართველოს შორის აგვისტოში მომხდარ ომზე რუსეთში რამდენიმე წიგნი უკვე გამოიცა. მათგან ყველაზე შთამბეჭდავია რუსეთის გენერალურ პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელის ალექსანდრე ბასტირკინის წიგნი სათაურით „ოსური ტრაგედია“.

ჯი-ეიჩ-ენი

**პასუხის პასუხად**

# წერილის ავტორების აღშფოთება იმანაც გამოიწვია, რომ ქართველ ისტორიკოსებს ვუსაყვედურე საქართველოს სრულყოფილი, ობიექტური ისტორიის უქონლობა, რაც, ეტყობა, შეურაცხყოფად მიიღეს

## ავტორი ეხმაურება „საქართველოს რესპუბლიკაში“ 29 მაისსა და 1 ივნისს გამოქვეყნებულ წერილებს

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (393, 20. V. 2010წ.) გამოქვეყნდა ჩემი წერილი, რომელშიც გავიზიარე ბატონ შოთა ზოიძის აღშფოთება, რომ პრეზიდენტის ნათქვამმა – „ქართველობა სომხურ ეთნოსს ნიშნავსო“ ჩაუშხამა ბათუმელებს შოთა რუსთაველის ბიუსტის დადგმის სიხარული.**

იქვე გამოვთქვი გაკვირვება, რომ ბატონ შოთას, ფილოლოგიის დოქტორს, ამ გამოთქმამ რატომ არ გაახსენა უფრო ამაზრზენი რამ, რაც წერია „ქართლის ცხოვრების პირველ ნაწილში, უფრო ზუსტად, თავამდე – „შემოსვლა ალექსანდრესი“ და ჩამოვთვალე, თუ რა მიმაჩნდა ქართველი ხალხის საშინელ შეურაცხყოფად:

– თარგამოსმა თავისი შვილიდან ყველაზე ჭკვიანს, ვაჟკაცს, უფროს შვილს ჰაოსს მისცა სამფლობელოს უკეთესი ნახევარი, ხოლო დანარჩენ 7 შვილს მეორე ნახევარი.

– ჰაოსი შვიდივე ძმის განმგებელი იყო და ისინი მორჩილებდნენ ჰაოსს და თურმე, მათი ენა იყო სომხური.

– ძვ.წ.ა. VI საუკუნემდე ქართლოსიანთა ენა ყოფილა სომხური, რომელიც შემდგომში დაუტოვებიათ და შეუქმნიათ ქართული, აუღიათ უბოროტესი სჯული – ყოველთა ნათესავთა სჭამდნენ და მკვდარსაც შესჭამდნენ.

– თურმე ასეთი იხილა ქართველთა წინაპრები ალექსანდრე მაკედონელმა.

– რადგან თარგამოსის შვილები არიან ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასი და ეგროსი, მეტყველებს იმაზე, რომ მათი შთამომავლები ერთი ეთნოსის ხალხებია, რაც გამორიცხულია – მეთქი.

აღვნიშნე, რომ ყოველივე ეს არავითარი წყაროებით არ დასტურდება, მით უმეტეს, ამ ეპოქაში სომხები საერთოდ არ ცხოვრობდნენ კავკასიის რეგიონში.

ვუსაყვედურე ქართველ მეცნიერებს, რომ რა უნდა წაეკითხათ ამაზე შეურაცხმყოფელი ქართველი ხალხისთვის, რომ ეთქვათ კომპეტენტური სიტყვა და ბოლო მოეღოთ ამ უტიფარი სიყალბისათვის.

ვთქვი, რომ სომეხი მეცნიერებისგან განსხვავებით, ეტყობა მათ არ აღმოაჩნდათ ერის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა ამის გასაკეთებლად.

მართალია, განხორციელდა „ქართლის ცხოვრების“ შესანიშნავი გამოცემა, მაგრამ გამოვთქვი გაკვირვება, რა საჭირო იყო მის გამოცემაში მონაწილეობა მიეღო მთელ ისტორიულ სკოლას, მაშინ, როდესაც მის გამოსაცემად საკმარისი იყო 2-3 საშუალო დონის მეცნიერი და ერთი მხატვარი – მეთქი.

– იმის დასამტკიცებლად, რომ ძვ.წ.ა. - VI–V საუკუნეებში კავკასიის რეგიონში სომხები არ ცხოვრობდნენ, გამოვაქვეყნე ჩვენი ქვეყნის იმ ეპოქის რუკა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№97. 26.V.2010წ.) გამოქვეყნდა წერილი – „დღეს იბეჭდება ბევრი წიგნი (და სტატია), რომელთაც არავითარი ღირებულება არა აქვთ და მეცნიერების წინსვლას უშლიან ხელს“ (პასუხად ბატონ ანზორ შონიას).

ხელს აწერენ ცნობილი მეცნიერები: მარიამ ლორთქიფანიძე, მზექალა შანიძე, დავით მუსხელიშვილი და როინ მეტრეველი.

როდესაც წერილს გავეცანი, გაოგნებული დავრჩი, ჩემს კრიტიკაზე მეტად ის უფრო ჩემს შეურაცხყოფას ითვალისწინებდა.

ამ დონის მეცნიერებს ეს ნამდვილად არ ეკადრებათ.

ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემ 2005 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2 ნომერში გამოაქვეყნა წერილი აფხაზეთზე ჩემი სტატიის გამო, მაგრამ იქ სულ სხვა სიტუაცია იყო.

რაც შეეხება ბატონ როინ მეტრეველს, ჯერ კიდევ 1998 წელს ვაჩუქე ჩემი წიგნი „დიდი საქართველოს ტრაგედია“, შემდგომშიც მივეცი ზოგიერთი ჩემი ბროშურა და მისგან ერთგვარი მხარდაჭერა ვიგრძენი, მაგრამ შეიძლება გულში სხვას ფიქრობდა, რაზედაც მისი ეს ხელმოწერა მეტყველებს.

ბატონ დავით მუსხელიშვილსაც ვიცნობ, თუმცა ეტყობა არ ვახსოვარ, სწორედ მას მივუტანე 2007 წელს ჩემი წიგნი – „კოლხები ქართველების წინაპრები“ ისტორიის ინსტიტუტში, მაგრამ, სამწუხაროდ, ის უკვე იქ აღარ მუშაობდა და წიგნები ახალ დირექტორს დავუტოვე.

სხვათა შორის, მე ერთ-ერთი ის კაცი ვარ, რომელიც იზიარებს მის მოსაზრებას, რომ ქართველი ხალხი შედგება არა ქართული ტომებისგან, არამედ ქართული ტერიტორიული ჯგუფებისგან.

ქალბატონ მზექალა შანიძეს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ კარგი ურთიერთობა მქონდა ღირსეულ ერისკაცთან – აკაკი შანიძესთან, ჯერ კიდევ 70-იან წლებში.

გარკვეულად მისი დამსახურებაცაა, რომ წერა დავიწყე, სწორედ მან მირჩია გამომექვეყნებინა ჩემი მოსაზრებები აფხაზეთზე და იქ მიმდინარე პროცესებზე.

წერილში ცინიზმით კითხულობენ, მომიკრავს ყური თუ არა, სინას მთაზე აღმოჩენილ წარწერაზე, რომელიც ამტკიცებს, რომ ალბანური ენა იგივე უდიური ენაა. რად მინდოდა ეს, როდესაც ამაზე თვითონ ბატონმა აკაკიმ მითხრა.

ჯერ ერთი ამაში რაა გასაკვირი, უდები ალბანების ისეთივე ტერიტორიული ჯგუფია, როგორც ჰერები და სუჯები.

მხოლოდ ეგ არის, რომ უდური ენა აშკარად ძალიან შეცვლილია, ალბათ იმდენად, რომ ძნელი სათქმელია, რამდენად გავს ის ალბანურ ენას.

სხვათა შორის, ბატონ აკაკის ძალიან მოეწონა ჩემი მოსაზრებები ქართულ დამწერლობაზე და მირჩია გამომექვეყნებინა.

მართლაც, 1995 წელს გამოქვეყნდა ჩემი „ღია წერილი აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს“, სადაც მას არ დავეთანხმე მთელ რიგ საკითხებში.

ყოველ შემთხვევაში, აშკარად გამიკვირდა მათგან ასეთი წერილის გამოქვეყნება, თან ისიც გამიკვირდა, რომ ზოგიერთი ჩემი მოსაზრება სწორად არ არის გაგებული და სათანადოდ არასწორი მოსაზრებებია გამოთქმული:

– თითქოს ლეონტი მროველის თხზულება „მეფეთა ცხოვრება“ ამაზრზენად მიმაჩნია, მაშინ, როდესაც ერთმნიშვნელოვნად ვამბობ, რომ მის პირველ ნაწილშია მთელი რიგი ამაზრზენი მოსაზრებები ჩადებული (ისინი ამ წერილში მაქვს ჩამოთვლილი).

– თითქოს ეჭვქვეშ ვაყენებ კავკასიაში მცხოვრები ხალხების თარგამოსისგან წარმომავლობასაც, რაც არასწორია. მე ამაზე აზრი არ გამომითქვამს, მე აღვნიშნე, რომ თარგამოსის შთამომავლებს სომხებს და ქართველებს (სხვა კავკასიელ ხალხებსაც) სხვადასხვა ეთნოსი აქვთ, რაშიც თვითონ წერილის ავტორებიც მეთანხმებიან.

– მიმაჩნდა, რომ კავკასიის ხალხების თარგამოსისგან შთამომავლობა მიზნად ისახავდა, რომ მათ, მართლაც ძმებად ეგრძნოთ თავი, მაგრამ ამ იდეის ავტორის მიზანმა არ გაამართლა. სხვა თუ არაფერი, მათ რა უბედურებაც მოუტანეს ქართველ ხალხს, საყოველთაოდ ცნობილია.

ვერ გეტყვით სხვები რა აზრის არიან, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია, როდესაც ქართლელებისა და მეგრელების ძმობის რანგშია აყვანილი მათი ძმობა სომხებთან, ლეკებთან და ა.შ.

როგორც მიიჩნევენ, თითქოს კავკასიის ხალხების თარგამოსის შვილებად აღიარების ვერსია ბიბლიაშია ჩადებული, მე ეს არ მიმაჩნია სიმართლედ, ვინაიდან მათში კავკასიის ის ხალხებია ჩამოთვლილი, რომლებიც ბიბლიის შექმნის ეპოქაში, ფაქტობრივად არ არსებობდნენ.

მართლაც, ჰერები ალბანების ერთ-ერთი ტერიტორიული ჯგუფია, რომელიც გამოჩნდა V საუკუნეში, ხოლო თარგამოსის შვილად ალბანოსი კი არ არის წარმოდგენილი, არამედ ჰეროსი.

– თითქოს ჩემი მსჯელობიდან ჩანს, რომ თარგამოსი სომხად მიმაჩნია, რაც აბსოლუტურად გამორიცხულია. ამას ნებისმიერი მიხვდება, ვინც წაიკითხავს ჩემს წერილს.

– აქვე, წერილის ავტორები მასწავლიან – ცნობისათვის: „თარგამოსი იყო ძე თარშისი, ძმისწული იაფეტისი, ნოეს ძისაი“.

აშკარად გაოგნებული დავრჩი, ვიცოდი, რომ თარგამოსი ნოეს ერთ-ერთი ძის იაფეტის შთამომავალი იყო და ჩვენ იაფეტიდები ვიყავით, ამ დროს ეს კომპეტენტური მეცნიერები ერთმნიშვნელოვნად მეუბნებიან, თითქოს თარგამოსი იაფეტის ძმისშვილია. ე.ი. რადგანაც ნოეს სამი შვილი ჰყავდა, ქამი, სემი და იაფეტი, ე.ი. ჩვენ ან სემის შთამომავლები, სემიტები ვყოფილვართ, ან ქამის შთამომავლები – ქამიტები.

მართლაც, ეს ჩემთვის სრულიად ახალი რამ იყო, ალბათ, დროა ხალხმაც გაიგოს ეს ვერსია.

– თითქოს ქილიკით მოვიხსენიებ ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ მიერ გაწეულ შრომას, რაც არასწორია, მხოლოდ ეს არის, რომ ვერ წარმოვიდგინე, კომისიამ, რომელიც ადგენდა „ქართლის ცხოვრების“ რეალურ ტექსტს, არ ამოიღო ქართველების კაციჭამიობის, უფრო მეტი, მკვდრისჭამიობის ვარიანტი, ქართლელების სომხობა და ქართლელების ენად სომხურის გამოცხადება, მაშინ, როდესაც ყოველივე ეს არავითარი ისტორიული წყაროებით არ არის დადასტურებული.

არა და, მსოფლიოში ვერ ნახავთ მემატიანეს, რომელიც თავისი ქვეყნის ისტორიას იმით იწყებდეს, რომ მათი წინაპრები კაციჭამიები, უფრო მეტი, მკვდარიჭამიები იყვნენ.

ვფიქრობ, არც „სწავლულ კაცებს“, მით უმეტეს მეფეს, არაფერი უშლიდათ ხელს ეს საზიზღრობა მაინც რომ ამოეღოთ.

– მსაყვედურობენ, რომ გამართლებულად მიმაჩნდა ქართველ მეცნიერებს ეთქვათ კომპეტენტური სიტყვა და ბოლო მოეღოთ ამ „უტიფარი სიყალბისათვის“, მაგრამ, როგორც ისინი ამბობენ, მე აზრად არ მომსვლია „მეფეთა ცხოვრების“ პირველი ნაწილის ამოღება, არამედ მიზანშეწონილად ვთვლიდი კომენტარს ან ნარკვევის სახით საზოგადოებისთვის ეთქვათ, რომ ქართველები ჰაოსის მონა-მორჩილები არ ყოფილან, ქართლელების ენა სომხური არ ყოფილა, ალექსანდრე მაკედონელს არ უნახავს კაციჭამია და მკვდარიჭამია უბოროტესი სჯულის პატრონი ქართველები, მით უმეტეს დადგენილია, რომ ის საქართველოში არ ყოფილა და ყოველივე ზემოთქმული არავითარი წყაროებით არ დასტურდება.

ყოველ შემთხვევაში, წერილში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, თუ რა შეხედულება აქვთ მათ იმ ფაქტებზე, რომლებიც მე ამაზრზენად მივიჩნიე.

– წერილის ავტორების რისხვა განსაკუთრებით იმით დავიმსახურე, რომ ვთქვი, რად უნდოდა ისტორიკოსების არმია „ქართლის ცხოვრების“ გამოცემას-მეთქი, მით უმეტეს, როდესაც მასში რაიმეს შეცვლა გამორიცხულია.

მართალია, წიგნი მაღალ დონეზეა გამოცემული, მაგრამ მე მაინც ვთვლი, რომ მის გამოსაცემად არ იყო აუცილებელი მთელი ისტორიული სკოლის ჩართვა, ვინაიდან ქართველ მეცნიერებს მასზე დიდი შრომა აქვთ გაწეული და ასეთი პოტენციის გამოყენება მასზე გაუმართლებლად მიმაჩნია.

ამდენად, ვფიქრობ, რომ მეცნიერებისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია.

– ალბათ, დროა გადავიდეთ იმ საკითხზე, რომელზედაც კომენტარის გაკეთება წერილის ავტორებს ეუხერხულებათ:

მიმაჩნდა, რომ ლეონტი მროველს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა მეფეთა ცხოვრების პირველ ნაწილში ეთქვა ის, რასაც მე ამაზრზენად მივიჩნევ.

ამის დასამტკიცებლად განვაცხადე, რომ ძვ.წ.ა. VI საუკუნეში კავკასიის რეგიონში სომხები არ ცხოვრობდნენ, რაც უაზრობად ხდის ლეონტი მროველის მოსაზრებებს სომხების როლზე იმ ეპოქის კავკასიაში.

მართალია, ცნობილი მეცნიერები ხაზს უსვამენ ჩემს უვიცობას და იმას, რომ თურმე არც ვიცნობ და ვერც ვერკვევი წყაროებში, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის.

უფრო მეტი, ეტყობა ცნობილი მეცნიერები წყაროების მიმართ გარკვეულ უნდობლობას იჩენენ.

ძვ.წ.ა. VI–V საუკუნეებში სომხები რომ კავკასიაში არ ცხოვრობდნენ, ამისი ერთ-ერთი უტყუარი წყაროა ჰეროდოტე (ძვ.წ.ა. V-ს), რომელიც მეწამული ზღვიდან შავ ზღვამდე (ფაზისამდე) ასახელებს ოთხ ხალხს – სპარსებს, მიდიელებს, სასპერებს და კოლხებს.

ჰეროდოტეს კომპეტენტურობაში ეჭვის შეტანა, ვფიქრობ, გამორიცხულია და რადგანაც ის ფაქტობრივად კავკასიის რეგიონში სომხებს არ ასახელებს, მეტყველებს იმაზე, რომ ისინი იმ ეპოქაში კავკასიაში არ ცხოვრობდნენ, რადგანაც მეტ-ნაკლებად ცნობილია ის ტერიტორიები, რომლებიც ეკავათ სპარსებს, მიდიელებს და სასპერებს, თავს უფლება მივეცი ტერიტორია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს საზღვრებში შემეტანა.

სხვათა შორის, ჩემს წერილზე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№100.01.06.2010 წ.) გამოქვეყნდა ცნობილი პროფესორის, ბატონ ნოდარ ლომოურის წერილიც – „ნუ შეურაცხვყოფთ ქართულ ისტორიოგრაფიას ფანტაზიების საფუძველზე“.

ბატონი ნოდარი თითქმის იგივეს იმეორებს, რასაც წინა წერილის ავტორები წერენ და არ გავიმეორებ, მას სწორედ ჩემი რუკა მიაჩნია იმ ფანტაზიად, რომელიც თურმე შეურაცხყოფას აყენებს ისტორიას.

მართალია, წინა წერილის და ამ წერილის ავტორები მსაყვედურობენ, თითქოს წყაროებს არ ვიცნობ, მაგრამ, ვგონებ, მათ უფრო აქვთ ეს ნაკლი.

ტერიტორია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს შემადგენლობაში რომ მოვაქციე, ამაზე ჰეროდოტეს გარდა სხვა წყაროებმაც მომცეს უფლება.

ერთ-ერთი წყაროა „ბიზანტიური ენციკლოპედია“ (IX ს), სადაც წერია, რომ „ალბანები მეგრელები არიან“.

როგორც ცნობილი მეცნიერი აკაკი ურუშაძე გვამცნობს, თურმე ამავე აზრის ყოფილა ბიზანტიელი სწავლული ევდოკია (XI ს).

როგორც ცნობილია, თითქმის IV საუკუნიდან XIV საუკუნემდე ბიზანტიელები ეგრისის სამეფოს ლაზიკად მოიხსენიებდნენ და მეგრელებს – ლაზებად. მიუხედავად ამისა, ბიზანტიელი სწავლულები ალბანებს მაინც მეგრელებად მოიხსენიებდნენ, რაც ამ წყაროების რეალობაზე მეტყველებს.

ბუნებრივია, ერთადერთი საფუძველი, რამაც ბიზანტიელ სწავლულებს ათქმევინა, რომ ალბანები მეგრელები არიან, იყო ალბანური და მეგრული ენის ერთიდაიგივეობა.

ეტყობა, ალბანეთში IX–X საუკუნეებშიც კი ალბანური ენა იგივე მეგრული ენა იყო.

გარდა ამისა, არსებობს ცნობილი მეცნიერის იოსებ ყიფშიძის წიგნი „მეგრული (იბერიული) ენის გრამატიკა“ (1914 წ. ს/პეტერბურგი).

ბატონი იოსები ბრძანებს, სამეგრელოდან ისეთ დაშორებულ ადგილას, როგორიც საინგილოა, ვხვდებით მეგრულ ტოპონიმებს, ჰიდრონიმებს, გამოთქმებსა და ა.შ.

თურმე, XX საუკუნის დასაწყისში საინგილოში კითხვას „ვინ ხარ?“ ამბობდნენ მეგრულად – „მი რექ?“ ასევე სიტყვა „დაუწერელს“ წერდნენ „უ-დაუწერელი“, რასაც ბატონი იოსებ ყიფშიძე ხსნის იმით, რომ ადრე საინგილოშიც მეგრულად საუბრობდნენ.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საინგილო (ჰერეთის ჩრდილო რეგიონი) ყოფილი ალბანეთის რეგიონი იყო, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ალბანების მეგრელობას.

სხვათა შორის, ცნობილ მეცნიერს რისმაგ გორდეზიანს აქვს ნაშრომი „ქართველი ერის ჩამოყალიბების პრობლემები“, სადაც ის ამბობს, რომ ერის ერთიანობას განსაზღვრავს ხალხის ისტორიული მეხსიერება, რომელიც ქართველ ერს შემორჩა კოლხეთის სამეფოს ეპოქიდან, რაც იძლევა საფუძველს ქართული ეთნოსის სათავედ კოლხეთი მივიჩნიოთ.

სწორედ ამ ნაშრომში ის წერს, რომ კასპიისპირეთში დღესაც ვხვდებით უამრავ „აიეტიზმს“ (მეგრელიზმს).

ყოველ შემთხვევაში, ჰეროდოტეს წყარო – „ბიზანტიური ენციკლოპედია“, ბიზანტიელი სწავლულის ევდოკიას მოსაზრება, იოსებ ყიფშიძის წიგნი, რისმაგ გორდეზიანის ნაშრომი, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გავრცელებული მეგრული ტოპონიმები, იძლევა რეალურ საფუძველს, ტერიტორია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ჩვენი ქვეყნის შემადგენლობაში მოიაზრებოდეს.

ჩემს წერილში მე ეს წყაროები არ მომიყვანია, ხოლო, ეტყობა, ჩემი კრიტიკის ავტორებისთვის ისინი „უცნობია“, რამაც მათ ათქმევინა, რომ ამ საკითხზე კომენტარისგან თავს იკავებენ და ალბანურ ენას მეგრულ ენად არ მიიჩნევენ.

– მსაყვედურობენ, რომ მე სომეხი მეცნიერები მომწონს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება, მაგრამ, ერთგვარად ვუგებ მათ, როდესაც ისინი ყველაფერზე მიდიან თავიანთი ქვეყნის პრესტიჟის ასამაღლებლად.

წარმოიდგინეთ, „ბიზანტიურ ენციკლოპედიაში“ წერებულიყო „ალბანები სომხები არიანო“, რას მოიმოქმედებდნენ სომხები?

სხვათა შორის, რუკამ, სადაც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ტერიტორია კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს საზღვრებშია და სომხები საერთოდ არ ჩანან, დიდი აღშფოთება გამოიწვია სომხებში, მაგრამ არ მეგონა, თუ იგივე იყო მოსალოდნელი ქართველი მეცნიერებისგან.

არადა, ეს რუკა, იმაზეც მეტყველებს, რომ ქართველებში ერთი ეთნოსის დომინანტია და თუ ვინმეს აწუხებს, რომ იმ ეპოქაში ჩვენს ქვეყანას ერქვა კოლხეთის (ეგრისის) სამეფო, ეს მის კუთხურ ცნობიერებაზე მეტყველებს. მთავარია ერთნი ვიყოთ და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იბერი გვერქვა, კოლხი, ქართლელი, მეგრელი, კახელი თუ სხვა.

ქართველი მეცნიერები, განსაკუთრებით იმან აღაშფოთა, რომ ვწერ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს დაშლისა და მის აღმოსავლეთ ნაწილში ძვ.წ.ა. IV–III–საუკუნის მიჯნაზე ჩამოყალიბდნენ იბერიის (და არა ქართლის) და ალბანეთის სამეფოები და ამის შემდეგ იბერიაში მცხოვრებ მეგრელს დაერქვა იბერი და ალბანეთში მცხოვრებს – ალბანი, ხოლო მათი სამეტყველო ენა ისევ მეგრული იყო.

ამისთანა მოვლენას XIII–XVI საუკუნეებშიც ჰქონდა ადგილი. როდესაც ეგრისის სამეფოში წარმოჩინდნენ ქართულენოვანი რეგიონები, იმერეთი, გურია, რაჭა და აჭარა, იმერეთში მცხოვრებ მეგრელს დაერქვა იმერელი, გურიაში – გურული, რაჭაში – რაჭველი და აჭარაში – აჭარელი.

– წერილის ავტორების აღშფოთება გამოიწვია იმანაც, რომ ქართველ ისტორიკოსებს ვუსაყვედურე, საქართველოს სრულყოფილი ობიექტური ისტორიის უქონლობა, რაც ეტყობა შეურაცხყოფად მიიღეს.

და ეს მაშინ, როდესაც, დღესაც არაა დადგენილი, საიდან იწყება ჩვენი ქვეყნის ისტორია, ქართული სახელმწიფოებრიობა (ზოგი ასახელებს 3000 წელს, ზოგი 2300 წელს, ზოგი XI საუკუნეს და ა.შ.), რა სახელები ერქვა ჩვენს ქვეყანას სხვადასხვა ეპოქაში, რა ენაზე მეტყველებდნენ ჩვენი შორეული წინაპრები, რა ტერიტორიები ეკავა ჩვენს ქვეყანას სხვადასხვა ეპოქაში და ა.შ.

და ეს მაშინ, როდესაც გვაქვს უძლიერესი ისტორიული სკოლა, რომელსაც ეს ნამდვილად არ გაუჭირდება.

როდესაც ასეთი ისტორია გვექნება, არა თუ პრეზიდენტს, არამედ რიგით ქართველსაც არ შეეშლება, თუ რაზე მეტყველებს ქართული ეთნოსი.

**ანზორ შონია,**
ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი.

◉ რაც იყო...

*კარგა მოსაღამოებულზე დენი მოვიდა და ტელევიზორი ჩავრთე თუ არა, მთელი ოჯახი სასადილო ოთახში შემოვიდა. არც პატარა ნატო ჩამოგვრჩა, მამის მუხლებზე მოკალათდა ტელევიზორის საცქერლად.*

*— და მაინც, რაში დასჭირდათ ხუდონის საკითხის ხელახლა წამოწევა? — კითხვა გაუმეორა დიქტორმა ერთ-ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს.*

*— მამიკო, რა არის ხუდონი? — იკითხა პატარა ნატომ.*

*— სათამაშოა.*

*— ააა... წამოიტირა უკმაყოფილო ბავშვმა, მერე მამის მუხლებიდან ჩამობობღდა და ჩემთან მოვიდა იგივე კითხვით.*

*— ბაბუ, რა არის ხუდონი?*

*— სათამაშოა, ბაბუ, სწორედ გითხრა მამიკომ.*

*ყოველთვის ვცდილობდი, შვილიშვილისათვის ტყუილი არ მეთქვა და არც ახლა მიგრძნია სინდისის ქენჯნა.*

# ხუდონი



ფიქრებმა წამიღეს...

დიპლომის დაცვის დღე ისე მოგვადგა, რომ ბევრი საკითხი დამუშავებული კი არა, წარმოდგენილიც არ მქონდა. ყველაზე საშინელი მაინც ის იყო, რომ ჩემს ხელმძღვანელს, ბატონ ალექსანდრეს ჩემი ნამუშევარი, რისი გაკეთებაც მოვასწარი, ვერ წარვუდგინე. როცა ჩემმა მეგობრებმა ნოდარმა და დათომ, პირველად მიიტანეს თავიანთი ნამუშევრები ბატონ ალექსანდრესთან, მე მაშინ საკვლევ ინსტიტუტში ვიჯექი და მდინარის ჩამონადენის მონაცემებს ვიწერდი. ვერც მეორედ წავყევი მათ. ბევრი მეხვეწა ნოდარი, ისე წამოდი, რაიმე უბრალო საკითხზე შეეკითხე, ხომ იცი, როგორც გაიგებენ შენს საქციელსო.

არ მეცალა. მესამეჯერ მე არ ვიყავი ადგილზე და კიდევ ორნი წავიდნენ...

— შენ, ძმაო, ნუ ეთამაშები დიპლომის დაცვას, თორემ, ხომ იცი, რომ არავინ დაგინდობს? — მისაყვედურა ნოდარმა და თან დაუმატა, რომ მათ დაამთავრეს ხელმძღვანელთან სიარული.

ღამეებს ვათენებდი, ხაზვით რომ დავიღლებოდი, განმარტებით ბარათს ვწერდი, საკმაო საკითხები რომ დამიგროვდა, მაშინ მივაკითხე ხელმძღვანელს.

ბატონი ალექსანდრე ინსტიტუტში სპეციალობას გვასწავლიდა, შემდეგ ჰიდროპროექტში გადაიყვანეს მთავარ ინჟინრად და მასთან შეხვედრა, როგორც ამტკიცებდნენ, იოლი არ იყო.

მისაღებში ჩემი რიგი რომ დადგა, კაბინეტში შევედი და მოვახსენე რაზედაც მივედი. ახლა არ მცალია, სხვა დროს მოდიო.

ორი დღის შემდეგ კვლავ მივაკითხე. თათბირი ჰქონდა. მდივანმა კატეგორიულად გამაფრთხილა, ჯერ არ შეხვიდეო. კარის გაღებისას მისაღებში გამოდიოდა მათი ხმამაღალი არგუმენტაცია. ენგურის კაშხლის მშენებლობას იწყებდნენ და უნდა დაედგინათ, როგორ გაექარწყლებინათ 300 მ-ის სიმაღლიდან გადმოდინებული ჭარბი წყლის დამანგრეველი ძალა. ერთ-ერთმა საკვლევმა ინსტიტუტმა თავისი ექსპერიმენტის შედეგები მოიტანა, ამტკიცებდნენ, ჰაერში წყლის ნაკადი შხეფებად იშლება და მას დამანგრეველი ძალის სიდიდე უმცირდებათ. არ დაიჯერეს, საცდელ „პოლიგონზე“ მიღებულმა შედეგებმა შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოსო.

— რეიზა იკლავენ თავს, პატარას ვერ ააშენებენ? — იკითხა ერთმა საშუალო ასაკის კაცმა.

მისაღებში მყისიერად შეწყდა საუბრები, ყველა იმ კაცს მიაშტერდა, მდივანი ქალი ისეთი შეშინებული თვალებით უყურებდა, თითქოს ელოდა, უფროსი საშინელს იტყვისო.

უცებ კაბინეტის კარი გაიღო და თათბირის მონაწილენი ჩქარი ნაბიჯებით გამოვიდნენ, მათ ბატონი ალექსანდრეც გამოყვა.

— დღეს აღარ ვიქნები, — ტყვიასავით ესროლა მდივანს და მისაღებიდან გავიდა.

საერთო საცხოვრებელში დაბრუნებამდე კათედრაზე მივედი და ერთ ასპირანტს დახმარება ვთხოვე, თან საკითხების გადაწყვეტის ჩემი ვარიანტებიც მოვახსენე. ასპირანტი ყველა ჩემს ვარიანტს დაეთანხმა, მაგრამ მკაცრად გამაფრთხილა, ყველაფერი ბატონ ალექსანდრესთან შემეთანხმებინა.

მეორე დღეს ჰიდროპროექტში მისულს თავზარი დამეცა: ბატონი ალექსანდრე 5 დღით ენგურჰესის მშენებლობაზე წასულიყო.

დიპლომის დაცვაზე ჩაჭრის ალბათობა რეალური იყო: ერთმანეთთან დაპირისპირებული პროფესორები, თუ ოპონენტის სტუდენტის ნამუშევარში თუნდაც საკამათოს იპოვნიდნენ, ვაი ასეთი სტუდენტის ბრალი, თუ მას ხელმძღვანელი არ დაიცავდა.

დიპლომის დაცვის წინადღეს ჩემი ნამუშევრით კვლავ ჰიდროპროექტს მივაკითხე. ბატონი ალექსანდრე უკვე ჩამოსულიყო. დაურიდებლად შევედი კაბინეტში და სხვებთან საუბარში ჩართულს მოვახსენე, რაზედაც მივედი, რომ მეორე დღეს დაცვა მქონდა.

— შენ ჩემთან არ ყოფილხარ? — მკითხა გაოცებულმა.

— ვერ შემოვედი, პატივცემულო, თქვენ ყოველთვის ხალხი გყავთ.

— აქ ყოველთვის არის ხალხი, — მიყვირა ბატონმა ალექსანდრემ.

სკამზე ჩამოვჯექი, ახლა რომ გამლახოს, მაინც არ გავალ.

ბატონი ალექსანდრე მალე მორჩა საუბარს და მე შემომხედა. ეს სრულიად საკმარისი იყო, რომ მისთვის პირველი ნახაზი წარმედგინა. ხმამაღლა დავიწყე მოხსენება. მეშინოდა, არაფერს შეეშალა ხელი.

ბატონი ალექსანდრე ერთ ნახაზს რომ გაეცნობოდა, მაშინვე შემდეგ ნახაზს ვშლიდი. თან მოხსენებას არ ვწყვეტდი. ორი უმნიშვნელო შეცდომა გამასწორებინა. სამანქანო ნაწილის შემოწმება რომ დაიწყო, დავაპირე რამდენიმე დეტალზე მეკითხა, მაგრამ ნახაზი გადადო და განმარტებითი ბარათი აიღო, რომელიც წიგნად მქონდა აკინძული.

— ამის წაკითხვის დრო სად არის.

— ძირითადად ის წერია, რაც მოგახსენეთ პატივცემულო.

— მახასიათებლებზე ანგარიშით გახვედი თუ რაიმე იცულლუტე?

— რა უნდა მეცულლუტა, აგერ არის ანგარიშები.

— თუ არ გაქვს ნაცულლუტები ხვალ დაამტკიცე... რომელია შენი...

...ხუდონი. ხუდონი დაგღუპავს შენ, ასე რომ ეთამაშები.

— ხუდონს არ ვეთამაშები, პატივცემულო, — ძლივს ამოვილუღლუღე, ნახაზები ავკრიფე და გარეთ გამოვედი.

ქუჩაში კი არ მოვდიოდი, მოვფრინავდი. დაცვაზე ჩაჭრა აცილებულია.

ავტობუსში აღტაცებამ გამიარა, მაინც ვერ შევეკითხე, სამანქანო ნაწილის იმ დეტალზე. მუქარას რა ფორმით შემისრულებდა ბატონი ალექსანდრე, გაუგებარი იყო, სამიანიც აღარ მაკმაყოფილებდა — სადიპლომო ნამუშევარში სამიანი ჩაჭრაზე ცოტა მეტია.

სტუდქალაქში შესულს ნოდარი შემომხვდა, სახე ჯერ გაუნათდა, მერე „მოეღრუბლა“.

— რა, არ ჩამოვიდა?

— ჩამოვიდა, შევედი და ყველაფერი მოვახერხე.

— „დეინახე“, მერე ეგრეთი სიფათი რატომ გაქვს. ე. ი. ვერ ჩაგჭრიან, მეტი რა გინდა?

— გამიბრაზდა, ამდენ ხანს სად იყავიო.

— აბა, მე რას გეუბნებოდი!.. ისე, შენ თუ იცი, რას ამბობს ბრძენი რუსი კაცი? — „ჩემ იგრაეშ, ტემ ი უშიბაეშსაო“.

გამოთქმა მომეწონა. მგონი, შემეშურდა კიდეც...

სადიპლომო ნამუშევრების დაცვას მთელი კათედრა დაესწრო. ასე იყო ტრადიციულად. აუდიტორია გაჭედილი იყო. სტუდენტებს შეკითხვებს უსვამდნენ არა მარტო გამომცდელები, არამედ ასპირანტები, მასწავლებლები და სხვები.

ნოდარი მეორე შევიდა. მის დაცვაზე აუდიტორიის კარი ოდნავ შევაღეთ და ღრეჭოდან ვუყურებდით დაცვის მიმდინარეობას. შეკითხვები და ნოდარის პასუხები არ გვესმოდა, მაგრამ ვხვდებოდით, სად იდგა მყარი და სად — შეფერხდებოდა. მერე კარები დახურეს და ნოდარი დიდხანს დააყოვნეს. რომ გამოვიდა, იატაკის გაწურულ ტილოს ჰგავდა.

— ასეთი ნიშნის დედაც... — სართულიანი გინება გამოუშვა და სიგარეტი ამოიღო. ხუთიანი მიელო.

— „დეინახე“, ვითომ არც უხარია, რომ ნიშანი შრომით, ბრძოლით მიიღო, — ნოდარს ნიკაპში ხელი მოვკიდე, შევანჯღრიე. ხასიათი მაინც არ გამოუკეთდა, ძალიან გაეწვალებინათ.

დათოს დაცვასაც ღრეჭოდან ვუყურებდით. რომელიღაც საკითხზე დათო გაიჭედა. რამდენიმე შეკითხვას ვერ უპასუხა. გაბრაზებულმა ბატონმა ალექსანდრემ დათოს ჯოხი გამოსტაცა და გაკრული ნახაზების მიხედვით შეკითხვებს უპასუხა.

— შეკითხვებს თქვენმა სტუდენტმა უნდა უპასუხოს და არა თქვენ, — ფეხზე წამოდგა ბატონი გიორგი.

— მეც მაგას ვამბობ. რომ ვერ იცავს, ნიშანი დავაკლოთ, მაგრამ პროექტი კარგად აქვს დამუშავებული. ამას ნოდარ მოდებაძეზე ნაკლები არ უმუშავნია.

ბატონი ალექსანდრე თავის სტუდენტს იცავს. მე ასეთი დაცვა არ მინდა, ღმერთო, შენ დამიცავი ბატონი ალექსანდრესაგან და სხვებისგან თავად დავიცავ თავს.

ჩემზე წინ ორი ჩემი მეგობარი შევიდა და შემდეგ მეც შევედი. ნახაზები გავაკარი თუ არა, მოხსენება დავიწყე. სწრაფად მოვახსენე საპროექტო მონაცემები და რეგულირებაზე დავიწყე მოხსენება. თუ რამე მიშველიდა, სწრაფი მოხსენება მიშველიდა, ვერც ერთი ვერ იტანდა დინჯ, აუჩქარებელ მოხსენებას.

საანგარიშო ხარჯის დადგენაზე დიდხანს ვილაპარაკე, ბატონმა ნიკომ შემაჩერა, განმარტებით ბარათში ერთი სიდიდის ახსნა მომთხოვა, შემდეგ ბატონმა გიორგიმ თაღოვანი კაშხლის გაანგარიშება გამომკითხა დაწვრილებით, ბატონმა ალექსანდრემ განმარტებითი ბარათი ერთ-ერთ ასპირანტს გადააწოდა, მახასიათებლები შეუმოწმეო.

ჩემ წინ სამი პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა სამი დოქტორი იჯდა და მრისხანე თვალებით მომჩერებოდნენ, ხოლო მათ უკან აუდიტორია ასპირანტებისა და მასწავლებლებისა, რომლებსაც აქტივში ეწერებოდათ, თუ რაიმე შეცდომას გამოააშკარავებდნენ.

წყალმიმღებზე დავიწყე მოხსენება. საკმარისიაო, მითხრეს, მივხვდი, დრო უკეთ რომ უნდა გამენაწილებინა, ვითომ ვერ გავიგონე, წყალმიმღებზე ლაპარაკი ძალიან მინდოდა. არ გამოვიდა, მაგიდასთან მიმიხმეს, კვლავ შეკითხვები მომცეს, განსაკუთრებით ასპირანტები აქტიურობდნენ, რომელთა შეკითხვები ბატონ ალექსანდრეს სისტემაში მოჰყავდა, შემდეგ თავის შეკითხვასაც დაამატებდა და ჩემთან ახლოს მოსული, ყურადღებით მისმენდა.

ყველა შეკითხვას ამომწურავად ვუპასუხე.

— წყალმიმღები მაქვს ორიგინალურად გადაწყვეტილი, მინდოდა მომეხსენებინა.

— ვხედავთ, — ცივად მომიჭრა ბატონმა გიორგიმ.

— გეშინია, არ დაგეკარგოს? ნუ გეშინია, არ დაგეკარგება, — დამაიმედა ბატონმა ნიკომ, — გიორგი, ამ ყმაწვილს რომ ვერ ვაჩერებთ, შენთან რა ნიშანი ჰქონდა?

ბატონმა გიორგიმ ჯერ საათზე დაიხედა, მერე მხრები აიჩეჩა. რაღაც გადაულაპარაკა ბატონ ნიკოს და მიბრძანა, გენგეგმა მისთვის მიმეტანა.

— ის შენი სტუდენტი არ არის, ალექსანდრე, რატომ არაფერს ამბობ? — ჩვენ ხუთიანს ვუწერთ, იქნებ არა ხარ მომხრე?

ბატონი ალექსანდრე კვლავ ჩემი განმარტებითი ბარათით იყო დაკავებული, წამოდგა და კვლავ მრისხანედ შემომხედა (მისი თბილი გამოხედვა არც გვინახავს). გამაჟრჟოლა, მგონი წელში მოვიხარე კიდევაც, მივხვდი, რომ ამ სამი კაცის აზრს ჩემზე უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონია, ვიდრე მათ მიერ დაწერილ ნიშანს, მის მზერას კი, პირველად, ბოლომდე გავუძელი.

— მე რატომ უნდა ვიყო, კაცო, წინააღმდეგი, — უპასუხა ბატონმა ალექსანდრემ და მათ მაგიდასთან დაჯდა.

როგორ გამოვედი, არ მახსოვს. დერეფანში აღმოვჩნდი თუ არა, ვიყვირე — რაო, რაო, რა თქვა ბრძენმა რუსმა კაცმაო? ეშმაკმა წამიღოს, რა კარგია გამარჯვების სიხარული!

— დეინახეთ, ხომ გითხარით, მაგრად მოემზადა-მეთქი? — ნოდარი მეგობრების ჯგუფს გამოეყო, — რა მიიღე?

— გეკითხები, რა თქვა ბრძენმა რუსმა — აღარ ვჩერდებოდი, არავის ვუსმენდი, სულ ამ შეკითხვას ვიმეორებდი. აუდიტორიიდან გამოსულ ასპირანტს შეეკითხნენ, — რა მიიღოო.

— აუჰ, ძლივს გააჩერეს, ხუთიანი რომ დაუწერეს, გამომცდელებს კიდევ ეხვეწებოდა, მომისმინეთ, ნამუშევარი მეკარგებაო.

ახარხარდნენ, ყველა მილოცავდა, მე კი ნოდარის არ ვეშვებოდი, გაიმეორე ის ნათქვამი-მეთქი.

— რა თქვა და ჩემ იგრაეშ, ტემ ი უშიბაეშსაო, — რავა, ცუდი ნათქვამია თუ?

— მერე, ქართველმა კაცმა რა თქვა, ის რატომ არ იცი? ბრძენმა ქართველმა კაცმა თქვა: სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავსო.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. რუსი კაცის ნათქვამი აუხდათ მათ (საუბედუროდ, სხვებსაც), ვინც ხუდონს და ქვეყნის ეკონომიკას ეთამაშა. ქართველი კაცის ნათქვამი არ ახდა, არა და არა!

— აი, ნატოს ჩასძინებია, ჩავილაპარაკე.

არავინ გამომეპასუხა. არც არის საჭირო, შვილიშვილს თვითონ ჩავაწვენ საწოლში, მხოლოდ ეს საქმე მამშვიდებს და მაწყნარებს, თუ მაწყნარებს.

**ნუგზარ კობახიძე.**
**ქ. ბოლნისი**

◉ ინფორმაცია

# ამართლებენ ჩვენს მიმართ ჩადენილ ანექსიას



**— ის, რომ თურმე საქართველოში რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო ინტერვენცია კეთილ მიზნებს ემსახურებოდა, სრული აბსურდია, — ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ რუსეთის ვიცე-პრემიერის სერგეი ლავროვის განცხადების კომენტირებისას გააკეთა.**

**ჯალაღანიას განცხადებით, რუსეთის მაღალჩინოსნები ცდილობენ საქართველოს მიმართ ჩადენილი სამხედრო აგრესია გაამართლონ, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია და ეთნიკური წმენდა მოჰყვა.**

**— უცნაურია, როცა აგრესორები ასეთ განმარტებებს აკეთებენ. რუსი მაღალჩინოსნები ცდილობენ გაამართლონ კრემლის ის ქმედებები, რომელსაც საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, მათი ე.წ. დამოუკიდებლობის ცალმხრივად აღიარება და ოკუპირებულ რეგიონებში ეთნიკური წმენდა მოჰყვა. თურმე ეს ყველაფერი რუსეთს კეთილი ზრახვებით გაუკეთებია. ეს ყველაფერი აბსურდია, — განაცხადა ჯალაღანიამ.**



**შეგახსენებთ, რომ რუსეთის ვიცე-პრემიერმა სინგაპურში უსაფრთხოების საკითხებზე გამართულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ რუსეთმა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი იმიტომ აღიარა, რომ საქართველოს მხრიდან შემდგომი აგრესია აეცილებინა.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მიზანი 2012 წლისთვის

**ამ თვეში მუშაობას დაიწყებს ქალაქ თბილისის 50-ადგილიანი პარლამენტი-საკრებულო. მასში 30 მარტს გამართული არჩევნების შედეგების შესაბამისად ოპოზიციამ მიიღო 11 მანდატი, გაცილებით ცოტა, ვიდრე ამის პროგნოზი იყო. ამჟამად, წაგებიდან ერთი კვირის შემდეგ, ქართულ ოპოზიციაში დადგა ანალიზებისა და გარდაქმნის პერიოდი. მმართველმა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხომ ხმების 60 პროცენტზე მეტი მიიღო, თანაც თბილისში ამომრჩეველთა ნახევარი საარჩევნო ყუთებთან არც გამოცხადებულა**

სამაგიეროდ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ოპონენტები აქტივად ითვლიან თავიანთ იმ მეორე ადგილს საქართველოს დედაქალაქის მერის არჩევნებში, რომელიც მიიღო პოლიტიკური ბატალიების დებიუტანტმა — გაეროში ყოფილმა მუდმივმა წარმომადგენელმა, „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ. აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო მიეწებებინა ოპოზიციონერებისთვის, რომელთა ნაწილიც ხშირად სტუმრობს მოსკოვს, „მეხუთე კოლონის“ იარლიყი.

პარლამენტის ყოფილი სპიკერის ნინო ბურჯანაძის აზრით, მისმა „დემოკრატიულმა მოძრაობამ — ერთიანმა საქართველომ“ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო, ამჟამად მმართველ ელიტაში დაიწყო „სააკაშვილის ცვლის“ ძებნის პროცესი. საქმე ისაა, რომ საქართველოს 42 წლის ლიდერს არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა პრეზიდენტის 2013 წლის არჩევნებში, ვინაიდან ორჯერ უკვე ეკავა მას უმაღლესი სახელმწიფო პოსტი. მეორე ავტორიტეტულმა ლიდერმა, რომელიც ასევე არ მონაწილეობდა ადგილობრივ არჩევნებში, „სახალხო ფორუმის“ ხელმძღვანელმა გუბაზ სანიკიძემ ტელეკომპანია „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ აქვს ინფორმაცია: სააკაშვილი და შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი ცდილობენ მოიპოვონ მოსკოვის მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იყვნენ ერთგვარი გარანტიებით თავიანთი თავისთვის. ხელისუფლებამ ამასთან დაკავშირებით კომენტარები არ გააკეთა.

თავად სააკაშვილმა ამ დღეებში მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ არავითარი ვადამდელი არჩევნები ქვეყანაში (პარლამენტის არჩევნები დანიშნულია 2012 წლისთვისძ არ გაიმართება, და შესთავაზა ჩინოვნი-



კებს იმუშაონ ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირებათა რეალიზაციაზე. ამავე დროს ურჩია მათ, რომ მინისტრებმა უახლოესი ორი თვის განმავლობაში არც იფიქრონ შვებულების შესახებ. ხოლო საქართველოს პარლამენტში პროპრეზიდენტული უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა განაცხადა, რომ „გაიფანტა მითი საქართველოს დედაქალაქის ოპოზიციურობის შესახებ“. მას მხედველობაში ჰქონდა ის ფაქტი, რომ თბილისის მერის პირდაპირ არჩევნებში გაიმარჯვა მმართველი პარტიის წარმომადგენელმა გიგი უგულავამ. მაგრამ ოპოზიცია არ ეთანხმება ასეთ შეფასებას და მას ამჯერად რეაბილიტაცია სჭირდება.

„სახალხო ფორუმმა“ შესთავაზა გაერთიანებულიყვნენ საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის იდეის გარშემო, რათა უკვე უახლოეს არჩევნებში გამოირიცხოს მანიპულაცია ამომრჩეველთა რიცხვით და გაყალბებანი ჩაყრილ ბიულეტენებთან დაკავშირებით. ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ზაფხულის განმავლობაში მოინახულებს საქართველოს ბევრ რაიონს, და დაარწმუნებს მოსახლეობას „თანამიმდევრული და შეურიგებელი ბრძოლის“ აუცილებლობის შესახებ, რათა შემოდგომით საზოგადოებრიობის გამოჩენილ წარმომადგენლებთან ერთად მოიწვიონ საყოველთაო კრება და დააყენონ საკითხი ვადამდელი პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების შესახებ. არ არის გამორიცხული, რომ ოპოზიციონერების ნაწილი პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელებს თავად ნინო ბურჯანაძეს. შესაძლებელია აგრეთვე, რომ მის მოძრაობას შეუერთდებიან სხვა ცნობილი პოლიტიკოსებიც, კერძოდ, ქართული სპეცსამსახურების ყოფილი შეფი ირაკლი ბათიაშვილი და ყოფილი სახალხო დამცველი სოზარ სუბარი. „ერთიან საქართველოში“ უკვე შევიდა ცნობილი ქართველი მოჭიდავე, მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ელდარ კურტანიძე. ამას გარდა, ნინო ბურჯანაძეს იმედი აქვს, რომ გამონახავს საერთო ენას თავდაცვის ექს-მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან, რომელიც ამჟამად ცხოვრობს პარიზში, როგორც პოლიტიკური ემიგრანტი.

ბრძოლას გვპირდებიან ის ოპოზიციონერებიც, რომლებიც მონაწილეობდნენ არჩევნებში და აღმოჩნდნენ საკრებულოში. „თბილსის პარლამენტი გახდება ახალი პოლიტიკური ცენტრი, — ვარაუდობს „ალიანსი საქართველოსთვის“ წარმომადგენელი, რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი. — ირაკლი ალასანიას საბრძოლო განწყობილება აქვს. მაგრამ ოპოზიციაში არიან ძალები, რომლებისთვისაც უმჯობესია, რომ სააკაშვილი დარჩეს, ოღონდ მის ნაცვლად არ მოვიდნენ სხვა ოპოზიციონერები. ეს ეგოიზმია. ეს ამბიციაა. ყველას პირველობა უნდა“. ასეთ შეფასებას ეთანხმება თბილისელი პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილიც. ოპოზიციის ნაწილისთვის მიუღებელია, რომ ირაკლი ალასანია ჩამოყალიბდეს, როგორც ლიდერი, — გვითხრა მან. — ოპოზიციონერებს არ გააჩნიათ კოლეგიალობის გრძნობა, არ შეუძლიათ მიმდინარე მოვლენების სათანადო ანალიზი და თვითკრიტიკა, იციან მხოლოდ კოლეგების კრიტიკა. შეიძლება მოგვიანებით ემოციები დაცხრეს, რის შემდეგადაც ოპოზიციონერები უფრო სერიოზულად დაიწყებენ მზადებას მომდევნო არჩევნებისთვის, ადეკვატურად შეაფასებენ თავიანთ რესურსებსა და უფრო ეფექტიანად გამოიყენებენ მათ“.

**მიხაილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## დედამიწის ზურგზე




**რუსეთის ექსპერტებმა დაასრულეს სამხრეთ კორეის კორვეტის „ჩხონანის“ დაღუპვის მიზეზის გამოკვლევა**

რუსეთის სპეციალისტების ჯგუფი, რომლებიც სწავლობენ წყალქვეშა გემებს და მინი ტორპედოების საქმეს, სეულში ჩავიდა 31 მაისს. ჟურნალისტებთან ჯგუფის წევრები კონტაქტებს არ ამყარებენ. სამხრეთ კორეის მონაცემებით, რუსეთის ექსპერტებმა დაათვალიერეს ფსკერიდან ამოღებული კორვეტის ნამსხვრევები და ტორპედოს ფრაგმენტები, რითაც, სეულის მონაცემებით, გაანადგურეს „ჩხონანი“.

* * *

**ციურიხის ცენტრში მთელი საათის განმავლობაში დასეირნობდა ცირკიდან გამოქცეული სპილო**

დედალი სპილო სახელწოდებით საბუ გამოიჭრა გალიიდან, როდესაც იგი გადაჰყავდათ ტრეილერში. ცხოველი დასეირნობდა ციურიხის საქმიან ცენტრში და ტბაში ცურვაც კი მოასწრო. გაქცევიდან მხოლოდ ერთი საათის შემდეგ შეძლო მომთვნიერებელმა მისი დარწმუნება, დაბრუნებულიყო ცირკში. გასეირნების შედეგად ნგრევებს ადგილი არ ჰქონია, თავადაც არ დაზარალებულა იგი.



* * *

**ინდონეზიის სოფელში 12 ბავშვი დაიხრჩო წითელასაგან ხსნის წესის დროს**

ბავშვები შეიკრიბნენ კიდურ ხიდზე ამ რაიონში წითელას აფეთქების საწინააღმდეგო მსხვერპლთშეწირვის ცერემონიაზე. მოულოდნელად ხიდი ჩაინგრა. მაშველებმა წყლიდან მხოლოდ 25 ბავშვის ამოყვანა შეძლეს, დანარჩენები დინებამ წაიღო.

# რუსეთი — მატყუარების სამშობლო

## სახელგანთქმული ბარონ მიუნჰაუზენის ქართველი „წინაპარი“ დიმიტრი ციციანოვი

**გაზეთმა „სოვერშენნო სეკრეტნომ“ გამოაქვეყნა საინტერესო სტატია, რომელიც, ვფიქრობთ, ქართველი მკითხველებისთვისაც არ არის ინტერესს მოკლებული. გთავაზობთ ამონარიდებს ამ სტატიიდან**

გერმანიაში მიაჩნიათ, რომ მიუნჰაუზენის მოთხრობები უმთავრესად ეფუძნება ადგილობრივ სამონადირეო თავგადასავლებს. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ შთაგონებას იგი იძენდა რუსეთში. მართლაც, ჩვენს ქვეყანაში ხდება ისეთი წარმოუდგენელი ამბები, რომ ზოგჯერ გეჩვენება: ჩვენთან რაც უნდა მოიფიქრო, ყველაფერი სიმართლე აღმოჩნდება!

ეკატერინე მეორის მეფობის დრო სახელი გაითქვა თავისი სამხიარულო ფანტაზიებით თავადმა დიმიტრი ევსეის ძე ციციანოვმა. ის გახლდათ ქართველი თავადების შთამომავალი, მისი წინაპრები და ნათესავები რწმენითა და სიმართლით ემსახურებოდნენ რუსეთის მეფეს, მიიღეს ჩინები და მამულები. დიმიტრი უსაქმურ ცხოვრებას ეწეოდა. ყველაზე მეტად კი უყვარდა საზოგადოების წინაშე თავის გამოჩენა მახვილი და ჭკვიანი ისტორიებით. მისი თანამედროვე წერდა: „არიან მატყუარები, რომლებსაც სრულიად სამართლიანად ცრუებს უწოდებდნენ: ისინი თავისებური პოეტებიც არიან და ხშირად მათი წარმოდგენები უფრო სრულია, ვიდრე ზოგიერთი პოეტისა. აილეთ, მაგალითად, თავადი ციციანოვი. აი, რამდენიმე მისი მონათხრობი:

„ჩვენთან, საქართველოში მეტად ხელსაყრელია იყო მაუდის ფაბრიკის მფლობელი, ვინაიდან ჩვენთან არ არის ნართის ღებვის საჭიროება: ცხვრები ათასი სხვადასხვა ფერისა იბადებიან. და უნდა განახათ, რა სილამაზეა — ცხვრები მთის ფერდობზე ცისარტყელების ფერებად ელავენ!“.



„ჩემს სოფელში ერთმა ქალმა შვიდი წლის ბავშვი შობა. წარმოგიდგენიათ, ამ ბიჭმა იმის ნაცვლად, რომ ტირილი დაეწყო, უმალვე ხმამაღლა დაიყვირა: დედა, არაყი მოიტა!“

„ერთხელ თავადი პოტიომკინი ტრაბახობდა თავისი ქურქით, რომელიც ბუმბულივით მსუბუქი იყო. მე მას ვუთხარი, რომ ჩემი ქურქი კიდევ უფრო მსუბუქია. „მაშ, ახლავე მომიტანე იგი!“ — მოითხოვა თავადმა. მე წავედი სახლში ქურქისთვის, დავბრუნდი და ვხედავ, რომ პოტიომკინი დგას ფანჯარასთან ჩაფიქრებული. მე მას წყნარად მოვახურე მხრებზე ქურქი. ის რამდენიმე ხნის შემდეგ შემობრუნდა ჩემსკენ და მეკითხება: „სად არის შენი ქურქი?“ — „მხრებზე გასხიათ!“. „წარმოგიდგენიათ, როგორი გაოცებული დარჩა პოტიომკინი?!“

„ერთხელ მისმა ბრწყინვალებამ მიბრძანა მიმეტანა ცარსკოე სელოში იმპერატორი დედოფლისთვის დილის ყავისთვის კალაჩი (ყურიანი პურის კვერი)ძ. მოვახტი ცხენს და გავაჭენე ისეთი სისწრაფით, რომ ჩემი დაშნის წვერი ვერსების საზომ ბოძებზე ხმაურობდნენ, როგორც ღობეზე: ტა-ტა-ტა-ტა...“

რასაკვირველია, ნიჭიერ იმპროვიზატორს უნდა ჰქონდეს უნარი — დაარწმუნოს თავისი ურწმუნო მსმენელები სიმართლეში. ერთხელ ციციანოვი ამბობდა, რომ საქართველოში ყვავის მეფუტკრეობა, ვინაიდან ფუტკრები იქ ბეღურების ტოლაა და ისინი კი არ ბზუიან, არამედ ჭიკჭიკებენ, როგორც ჩიტები. „მაშ, სკები როგორილაა თქვენთან?“ — შეეკითხა ერთ-ერთი მსმენელი. „სკები ჩვეულებრივია, როგორც რუსეთში“, — გულღიად უპასუხა დიმიტრი ევსეის ძემ. „მაშ, როგორღა ძვრებიან შიგნით ასეთი უზარმაზარი ფუტკრები?“ — ციციანოვმა წამოიძახა: „ეე! შენ ფიქრობ, რომ ყველგან ისეა, როგორც თქვენთან?! ჩვენთან, საქართველოში ასეთი სირთულე არ არსებობს: თუ გინდა გასკდი, მაგრამ უნდა შეძვრე!“

ზოგიერთი წარმატებული ხუმრობანი ციციანოვისა, შემდგომში მიეწება სხვა ცნობილ პერსონებს. მაგალითად, აი, ასეთი: თავადი ჩავიდა სადღაც ძლიერი წვიმის დროს. „თქვენ კარეტაში ხართ?“ — შეეკითხნენ მას. „არა, ფეხით მოვედი“. — „როგორ არ დასველდით?“ — „ოო, მე დიდი ხანია მოვდივარ წვიმის წვეთებს შორის“. ამ ანეკდოტს საბჭოთა პერიოდში ა.ი. მიქოიანზე ყვებოდნენ ხოლმე, რომელიც გამოირჩეოდა იმ უნარით, რომ ყოველთვის მშრალი გამოსულიყო წყლიდან.

**სერგეი მაკეევი**

СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО

◉ დარღვეული დუმილი

***ქალბატონ ლია რუსიაშვილს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში წიგნის „მარადიული ებრაელის“ წარდგენის შემდეგ შევხვდი. აღიარებული პოეტი უკვე ბავშვებისთვის საყვარელ მწერლად მოგვევლინა და 12-ტომეული წიგნის მესამე ტომი – „მარადიული ებრაელი“ შემოგვთავაზა.***

***ამ ინტერვიუთი მან დაარღვია დუმილი, რომელსაც მკაცრად იცავდა 2008 წლის სექტემბერის შემდეგ, როდესაც ქართულ მასმედიას გამოემშვიდობა. ლია რუსიაშვილი ფიქრობს, რომ დღეს საჭირო და აუცილებელია ხმის ამოღება, რადგან ქართულ ცნობიერებას, სულიერებას საფრთხე ემუქრება.***

# მოყვრულად მოსული მტერი მართლმადიდებლობას ებრძვის

– რატომ დავარღვიე პრესასთან დუმილი? – მითხრა მან, – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოღვაწეობდა ჩემი მამამთილი, ცნობილი ჟურნალისტი გიორგი ნოდია. იგი საოცრად კეთილშობილი და ქველმოქმედი იყო. ვიგრძენი, რომ არ მქონდა თქვენი გაზეთისთვის თავის არიდების მორალური უფლება.

დუმილის დარღვევით მის ხსოვნას სათანადო პატივს მივაგებ და ვაცხადებ, რომ საზოგადოების ქრონიკული ნიჰილიზმის მიუხედავად, დღეიდან სიტყვით თუ საქმით ვიბრძოლებ ჩვენი ეროვნული ფასეულობების დასაცავად.

**– რატომ იყო მნიშვნელოვანი თქვენი საბავშვო წიგნის „მარადიული ებრაელის“ გამოცემა?**

– „მარადიული ებრაელი“ 12 ტომად ჩაფიქრებული წიგნის „სალომე კოლხელის“ მესამე ტომია. პირველი ტომი – „უცნობი დედოფლის საგანძური“ 2006 წელს გამოიცა, ხოლო მეორე „ოქროს ვაშლის საიდუმლოება“ – 2008 წელს. „მარადიულ ებრაელში“ მოციქულ იოანეს „გამოცხადებაში“ მინიშნებული ებრაელთა გაქრისტიანების მხატვრული გააზრებაა მოცემული, წიგნში დომინირებს ქართველებისა და ებრაელების ოცსაუკუნოვანი მეგობრობა.

იმედი მაქვს, ქართველი ებრაელები ამ წიგნს გაეცნობიან და მომაწვდიან აზრებს – საამისოდ დამიკავშირდნენ ტელეფონზე 893 57 90 27. ხოლო თუ რა სიუჟეტი ვითარდება წიგნში, მოდით, საიდუმლოდ დავტოვოთ, ვისაც დააინტერესებს, დაე, თავად მოიძიოს „მარადიული ებრაელი.“

**– ლიტერატურული საზოგადოება პოეტად გიცნობთ. რატომ გადაწყვიტეთ საბავშვო მწერლობაში გადანაცვლება?**

– საამისოდ საკმაოდ მრავალი მიზეზი მქონდა. უპირველესი მიზეზი იყო „ჰარი პოტერისადმი“, ამ ოკულტური ლიტერატურისადმი ჩემი ამბოხი. სამწუხაროა, მაგრამ ამ წიგნის დამანგრეველი მოქმედება ბავშვთა სულიერებაზე დღემდე გრძელდება! მარტო ის რად ღირს, რომ „ჰარი პოტერისადმი“ თაყვანისცემის გამო 20 მილიონი ბავშვი გაერთიანდა სატანისტთა რიგებში. ეს რიცხვი დღითი დღე მატულობს. მისი მოწინააღმდეგეა სალომე კოლხელი. ეს წიგნი არა მარტო ბავშვებისთვის იწერება, არამედ – დიდებისთვისაც, იმ პრინციპით, რასაც ქრისტე მოითხოვს: – „გამოუშვით ბავშვები და ნუ დაუშლით ჩემთან მოსვლას, ვინაიდან მაგათნაირებისაა ღვთის სასუფეველი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ვინც ბავშვივით არ მიიღებს ღვთის სასუფეველს, ვერ შევა შიგ...“




საბავშვო მწერლობისკენ მომიწოდა, ასევე, ჩემმა მეუღლემ, ლიტერატორმა ზვიად ნოდიამ, ზოგიერთმა სამღვდელო პირმა, მწერლებმა – მიხეილ ქურდიანმა და დათო ტურაშვილმა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი.

**– თქვენ აღნიშნეთ, რომ საბავშვო ლიტერატურაში გადანაცვლების მიზეზი „ჰარი პოტერისადმი“ ამბოხი იყო. მაინც როგორ გამოიხატება ეს ამბოხი სალომე კოლხელში? რაც მთავარია, თორმეტივე ტომში გაგრძელდება?**

– რა თქმა უნდა. თითოეულ ტომს განსხვავებული სათავგადასავლო სიუჟეტი ექნება. თემატიკა კი, ანუ „ამბოხი“ – უცვლელი დარჩება! თორმეტივე ტომში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ბოროტი ძალის მსახურები (თეთრი თუ შავი მაგიები) და ღვთის მსახურები (გლახა, მამა მიქაელი), სადაც გაიმარჯვებენ, ცხადია, ღვთის მსახურები! მიზნად მაქვს, ამთავითვე გაუმახვილდეთ ბავშვებს ყური, გონება და თვალი ისე, როგორც ამას მებრძოლი ქრისტიანობა მოთხოვს.

„ამბოხიც“ სწორედ ამაში გამოიხატება – ბავშვებმა შეიყვარონ და ხსნა ეძიონ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში და, ამავე დროს, იცოდნენ მტრის ენაც, ის მახე-ხაფანგები თუ ცრუ-სასწაულები, რომლითაც ატყვევებენ ბნელეთის მსახურები უმეცარ ადამიანებს. შესაბამისად, სატანისტთა რიგების ნაცვლად ღვთისმსახურთა რიგებში გაერთიანდნენ!



**– ჰარი პოტერის წიგნი მართლმადიდებლური მსოფლიოს კრიტიკის ობიექტი გახდა, რაც გასაგებია, რომ რელიგიური მიდგომითაა განპირობებული. თუმცა, როგორც მხატვრული ლიტერატურა, საკმაოდ მიმზიდველია. კრიტიკა ერთია, მაგრამ ამ წიგნისთვის რომ სხვა წიგნს კონკურენცია გაეწიოს მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით, რამდენადაც ვიცი, არც არავის უცდია თქვენს გარდა.**

**რატომ გახდა ჰარი პოტერი მართლმადიდებელთა კრიტიკის ობიექტი; და თქვენ რამ გადაგაწყვეტინათ, რომ მისი კონკურენტი წიგნი დაგეწერათ?**

– გავიმეორებ, რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა კეთილი, რაც მისთვის ბუნებითი სჯულია. მაგრამ ღმერთთან დასამკვიდრებლად მას ესაჭიროება რელიგიური სჯულიც. ამით ხდება კაცი სრულყოფილი, უიმისოდ კი ცალმხრივია, ფრთამოტეხილია და ვერ ძალუძს ამაღლება ცათა სასუფევლამდე.

ამიტომ, მორჯულება სჭირდება როგორც კაცს, ასევე მწერლობასაც, მაგრამ ეს სასწაული მხოლოდ ერთადერთ სჯულს ძალუძს. მე ვეცადე მისით – ჩვენი მართალი წინაპრებისგან ნალოლიავები სჯულით გამეწყო მწერლობა და ასე მეჩვენებინა სხვაობა სჯულიერ და ცრუ სჯულიერ მწერლობას შორის...

**– კეთილი... ამას ამბობთ თქვენ თანამედროვე ქართული პროზით; პოეზიით კი „...და მზე, ლურჯი დაკარგული სამშობლოს მზისფერია;“ ხოლო, ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავთ, დღეს სულიერ საქართველოს გვართმევენო. აქედან გამომდინარე, საიდან გვემუქრება არსებითი საფრთხე?**

– პასუხს ბიბლიური შეგონებით გაგცემთ: „თუ ივლით ჩემი კანონებით და დაიცავთ ჩემს მცნებებს... მშვიდობას ჩამოვაგდებ თქვენს ქვეყანაზე და მოსვენებულები იქნებით... ასს გარეკავს ხუთი თქვენგანი და ასი თქვენგანი ათიათასს... მოგხედავთ და ნაყოფიერს გაგხდით, გაგამრავლებთ და შევასრულებ თქვენთვის მოცემულ აღთქმას... ვივლი თქვენს შორის და ვიქნები თქვენი ღმერთი, თქვენ კი ჩემი ერი იქნებით...“ (ლევ; 26.3-12).

წინააღმდეგ შემთხვევაში კი ღმერთი იმას გვიწინასწარმეტყველებს, რაც ახლა ჩვენ გვჭირს... რა თქმა უნდა, ეს ყველა ერს ეხება. და ეს ჭეშმარიტება ყოველ დროში აქტუალური იყო. ამ დროში კი, მით უმეტეს; შესაბამისად, საფრთხის საშიშროებას ვხედავ უფლის ამ სიტყვების შეუსრულებლობაში, როგორც ერის, ასევე ბერის მხრიდან! მოდური ეკლესიურობა იმისთვისაც კი არ არის საკმარისი, რომ მოსავლის საშველად ამინდი შეცვალოს და საქართველოს ბედს როგორღა შეცვლის?! ე.ი. საქართველოს სულიერ სიძლიერეს წყალი შესდგომია და ჩვენ კი ვტრაბახობთ – 80 პროცენტი მებრძოლი ქრისტიანი ვართო!..

ადამიანური გონებით დანახული, ე. წ. მტრის ხატის (იქნება ეს რუსეთი, დასავლეთი თუ ა.შ) საფრთხეებისა არა მწამს, რადგან საფრთხე უფლის განრისხებიდან იწყება; ბოლო ჟამის მთავარი საშიშროება ცალკეული მტრისგან კი არ მოდის, არამედ მოყვრულად მოსულ მტერთა გაერთიანება იბრძვის მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, როგორც პოლიტიკურად და ყველა სხვა საშუალებით, ასევე ისეთი ოკულტურ-მაგიური წიგნითაც, როგორიც არის „ჰარი პოტერი“. როცა გებრძვიან და ხედავ რომ გღუპავენ, შენც ეწინააღმდეგები და გადასარჩენად იბრძვი. ხოლო, როცა ბრძოლას ვერ ხედავ, სიზმრადაც არ გაიბრძოლებ. ყველამ ისე და იმით უნდა იბრძოლოს, რა ტალანტი და იარაღიც მისცა ღმერთმა. მეც მათ შორის მიგულეთ.

**– როგორ გგონიათ, პოეზია უფრო ახლობელია თქვენთვის თუ პროზა?**

– თუმცა, ახალგაზრდობაში პროზაიკოსი ვიყავი, მაგრამ მე მაინც პოეტი ვარ, უმთავრესად! ქრისტიანობასთან დაახლოებამ და ჩემი მეუღლის დაჟინებულმა მონდომებამ დამარწმუნა, რომ მხატვრულ ქმნილებას ადამიანივით უნდა ვუყურებდე, რომელიც შემოქმედმა დადებითი ბუნებითი სჯულით შექმნა, მაგრამ შემდეგ საჭირო გახდა მისი გაქრისტიანება. ასევე, ხელოვნებაც თუ გაქრისტიანებულია, მაშინ სრულყოფილია, თუ არადა, ნახევარი ქმნილებაა, ოდენ ბუნებითი სჯულის ამარაა!

ჭეშმარიტად ქრისტიანული ნაწარმოების შექმნა შეუძლია ყველა შემოქმედს, ვინც თავადაა ამ რწმენა-ცნობიერებით გაჟღენთილი.

ღვთის ნებით, მომავალში, ალბათ, ქრისტიანულ პოეზიაში ვცდი ბედს, რაც, რა თქმა უნდა, უფრო რთულია. ამჟამად კი „სალომე კოლხელის“ მეოთხე ტომზე ვიწყებ მუშაობას. როგორც შემოქმედისგან შექმნილი ადამიანი შეიცავს ღვთაებრივ ღირებულებებს, მაგრამ წუთისოფლის ქურა ცვლის მას, ასევე, მწერლობაც მატარებელია ღვთაებრივი ღირებულებებისა. მაგრამ განსაკუთრებით თანამედროვე ავტორთა ცნობიერებითი „ქურა“ ამ ღირებულებებთან ერთად, არცთუ იშვიათად, შეიცავს ცრუმორწმუნეობით ხატებს და სწავლებებს, რაც მკითხველის სულში საბედისწეროდ ილექება!

ახლა წარმოიდგინეთ, თუ ღვთაებრივი ღირებულებების ბუნებრივად შემცველ მწერლობას შევაღებთ ქრისტიანული გასაღებით, რას მივიღებთ? მართლის მადიდებლობას – რაც გახლავთ სწორედ მწერლობის ერთადერთი დანიშნულება!

**ესაუბრა**
**თამარ შაიშმელაშვილი**


# განცხადება

**სსიპ – წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად**

**ბუნებრივი კატასტროფების განყოფილება**

● მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული – სპეციალობით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი – (დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი)

**კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:**

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) კადრების მიერ დამოწმებული შრომის წიგნაკის ქსეროასლი;

დ) დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხა ბოლო 5 წელში (დამოწმებული);

ვ) ბოლო 5 წელში გამოქვეყნებული სამი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სრულად წარმოაჩენს ავტორის სამეცნიერო მიმართულებას;

ზ) სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 5 წელში (ჩამონათვალი);

თ) სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელობა ბოლო 5 წელში;

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, დანერგვის აქტების და სხვ. ჩამონათვალი ბოლო 5 წელში.

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს 2010 წლის 8 ივნისიდან (10 საათიდან – 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა) სსიპ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში (II სართული, ოთახი №227). საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 8 ივლისი.

კონკურსი ჩატარდება 14 ივლისს 14 სთ.

მისამართი: ქ. თბილისი, □ი. ჭავჭავაძის გამზირი, 60.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივანს შორენა კუპრეიშვილს

ტელ: 22-74-01, ფაქსი: 22-73-00

ელ. ფოსტა: gwmi1929@gmail.com

ინტერნეტ მისამართი: www.gwmi.ge

**დირექტორი: ზიაი ბავარდაშვილი**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**



# განცხადება საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ

**სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ საუქციონო კომისია აცხადებს საჯარო აუქციონს ბანკის საკუთრებაში არსებულ ოქროზე. გასაყიდად გამოტანილი იქნება ოქროს სინჯები, კერძოდ:**

1. 375 სინჯი (ჯართიძ – 152.0 გრამი* 10 დოლარი – 1 520 აშშ დოლარი.

2. 500 სინჯი (ჯართიძ – 223.2 გრამი* 14 დოლარი – 3 124.8 აშშ დოლარი.

3. 585 სინჯი (ჯართიძ – 701.4 გრამი* 17 დოლარი – 11 923.8 აშშ დოლარი.

4. 958 სინჯი (ჯართიძ – 59.5 გრამი* 28 დოლარი – 1 666 აშშ დოლარი.

აუქციონი გაიმართება 2010 წლის 15 ივნისს 12 საათზე, ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. №33-ში.

**დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ ოფისში. ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ. №33. ტელ. 7-60-03.**

**საუქციონო კომისია**
**ლიკვიდატორი რ. ცაციაშვილი**

ფეხბურთი

# სამი დღეც და...




**სამიოდე დღეც და სამხრეთ აფრიკის სტადიონებზე დაიწყება მსოფლიოს XIX საფეხბურთო ჩემპიონატი. მოგეხსენებათ, „შავი კონტინენტი“ პირველად მასპინძლობს ოთხწლეულის უმთავრეს ფორუმს, თუმცა ზოგიერთისთვის იგი უკვე ისე დასრულდა, რომ არც კი აუღია სტარტი.**

უიღბლოთა ნუსხა ინგლისელმა ვეტერანმა დევიდ ბექჰემმა გახსნა, რომლისთვისაც დამდეგი „მუნდიალი“ თანამემამულეთა შორის სარეკორდო – მეოთხე უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით მისი ხვედრი ფაბიო კაპელოს გუნდის კაპიტანმა რიო ფერდინანდმა გაიზიარა, რომელსაც ბედმა უშუალოდ მომავალი ბატალიების ადგილზე გამართულ ერთ-ერთ ვარჯიშზე უმუხთლა.

ასევე სერიოზული დანაკლისით ეზმებიან ტურნირში გერმანია (მიხაელ ბალაკიძ, იტალია (ანდრეა პირლოძ და ნიგერია (ჯონ ობი მიკელიძ, ხოლო ჰოლანდიელთა ლიდერ არიენ რობენის ტრავმა მსუბუქი აღმოჩნდა და ექიმთა ვარაუდით, მან პირველი მატჩისთვის გამოჯანმრთელება უნდა მოასწროს.



სასიამოვნო სიახლეა უმთავრესი ფავორიტის – ესპანეთის ნაკრების ბანაკში, რომელსაც ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ფერნანდო ტორესი, ხავი და ანდრეს ინიესტა დაუბრუნდნენ.

ახლა კი, მოდით, ჯგუფური რაუნდის კალენდარს გავეცნოთ.

**პარასკევი. 11 ივნისი**
18.00 სამხრეთ აფრიკა – მექსიკა
22.30 ურუგვაი – საფრანგეთი

**შაბათი, 12 ივნისი**
15.30 სამხრეთ კორეა – საბერძნეთი
18.00 არგენტინა – ნიგერია
22.30 ინგლისი – აშშ

**კვირა, 13 ივნისი**
15.30 ალჟირი – სლოვენია
18.00 სერბეთი – განა
22.30 გერმანია – ავსტრალია

**ორშაბათი, 14 ივნისი**
15.30 ჰოლანდია – დანია
18.00 იაპონია – კამერუნი
22.30 იტალია – პარაგვაი

**სამშაბათი, 15 ივნისი**
15.30 ახალი ზელანდია – სლოვაკეთი
18.00 კოტ დივუარი – პორტუგალია
22.30 ბრაზილია – ჩრდილოეთ კორეა

**ოთხშაბათი, 16 ივნისი**
15.30 ჰონდურასი – ჩილე
18.00 ესპანეთი – შვეიცარია
22.30 სამხრეთ აფრიკა – ურუგვაი

**ხუთშაბათი, 17 ივნისი**
15.30 არგენტინა – სამხრეთ კორეა
18.00 საბერძნეთი – ნიგერია
22.30 საფრანგეთი – მექსიკა

**პარასკევი, 18 ივნისი**
15.30 გერმანია – სერბეთი
18.00 სლოვენია – აშშ
22.30 ინგლისი – ალჟირი

**შაბათი, 19 ივნისი**
15.30 ჰოლანდია – იაპონია
18.00 განა – ავსტრალია
22.30 კამერუნი – დანია

**კვირა, 20 ივნისი**
15.30 სლოვაკეთი – პარაგვაი
18.00 იტალია – ახალი ზელანდია
22.00 ბრაზილია – კოტ დივუარი

**ორშაბათი, 21 ივნისი**
15.30 პორტუგალია – ჩრდილოეთ კორეა
18.00 ჩილე – შვეიცარია
22.30 ესპანეთი – ჰონდურასი

**სამშაბათი, 22 ივნისი**
15.30 მექსიკა – ურუგვაი
18.00 საფრანგეთი – სამხრეთ აფრიკა
22.30 ნიგერია – სამხრეთ კორეა
22.30 საბერძნეთი – არგენტინა

**ოთხშაბათი, 23 ივნისი**
15.30 სლოვენია – ინგლისი
18.00 აშშ – ალჟირი
22.30 განა – გერმანია
22.30 ავსტრალია – სერბეთი

**ხუთშაბათი, 24 ივნისი**
15.30 სლოვაკეთი – იტალია
18.00 პარაგვაი – ახალი ზელანდია
22.30 დანია – იაპონია
22.30 კამერუნი – ჰოლანდია

**პარასკევი, 25 ივნისი**
15.30 პორტუგალია – ბრაზილია
18.00 ჩრდილოეთ კორეა – კოტ დივუარი
22.30 ჩილე – ესპანეთი
22.30 შვეიცარია – ჰონდურასი.



ჩოგბურთი

# სამხრეთელთა ბენეფისი

**დღემდე „როლან გაროსის“ რეკორდსმენად ლეგენდარული შვედი ბიორნ ბორგი ითვლება,**



**რომელმაც პარიზის კორტებზე ექვსჯერ იპირველა. სავსებით შესაძლებელია, მისი მიღწევა ესპანელმა რაფაელ ნადალმა დაამხოს – გრუნტის მეფემ უკვე მეხუთედ მოიპოვა გამარჯვება საფრანგეთის დედაქალაქში.**

მოგეხსენებათ, მალიორკას მკვიდრმა მისთვის საყვარელ საფარზე კარიერაში ერთადერთი მარცხი შვედი რობინ სოდერლინგისგან შარშან იწვნია. ალბათ, ბედის ირონიაა, რომ ამჯერად ფინალში სწორედ ეს მეტოქენი შეხვდნენ ერთმანეთს და პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგის სათავეში დაბრუნებულმა პირენეელმა ჩინებულად გამოიყენა რევანშის შანსი – 6:4, 6:2, 6:4. აღსანიშნავია, რომ მან მთელი ტურნირის განმავლობაში მხოლოდ ერთი პარტია წააგო.

როგორც იქნა, ქალთა ასპარეზის ტრიუმფატორობა იტალიელსაც ეღირსა. ეს პატივი 29 წლის ფრანჩესკა სკიავონეს ხვდა, რომელმაც გადამწყვეტი რაუნდი ორ სეტში მოუგო ფავორიტად შერაცხილ ავსტრალიელ სამანტა სტოსურს. ამ წარმატების შემდეგ აპენინელმა პირველად უწია რეიტინგის მისთვის საუკეთესო მეექვსე პოზიციას.



მუნდიალ-2010

# მსოფლიო ჩემპიონატს უზბეკი გახსნის

**ცნობილი გახდა, რომ ფიფას მსაჯთა კომიტეტმა მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის მატჩზე, მასში კი მუნდიალის მასპინძლის – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და მექსიკის ნაკრებები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, მთავარ მსაჯად დანიშნა რავშან ირმატოვი უზბეკეთიდან. ის 2008 და 2009 წლებში აღიარეს აზიის საუკეთესო არბიტრად.**



ირმატოვის საერთაშორისო კარიერა დაიწყო 2003 წელს. ის სჯიდა მსოფლიო ჩემპიონატებს 17 წლამდე ასაკიანებისთვის (2003, 2007, 2009 წლებიძ, მსოფლიო ჩემპიონატს 20 წლამდე ფეხბურთელებისთვის, ასევე საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატს იაპონიაში 2008 წელს. ირმატოვი, ფეხბურთის გარდა, ჩოგბურთსა და ცურვასაც მისდევს.

უზბეკი მთავარი მსაჯის დამხმარეები იქნებიან მისი თანამემამულე რაფაელ ილიასოვი, ყირგიზი ბახადირ კოჩკოროვი, ხოლო მეოთხე მსაჯი იქნება მალაიზიელი სუბკხიდინ მოხდ სალეხი.

ტაბლო

## კალათბურთი

**ნბა-ს ფინალი. „ლოს-ანჟელეს ლეიკერზი“ – „ბოსტონ სელტიქსი“ 94:103. სერიაში ანგარიში გათანაბრდა – 1:1. მესამე მატჩი ბოსტონში გაიმართება.**



## ჰოკეი

სტენლის თასის გათამაშების ფინალი.

„ჩიკაგო ბლექ ჰოუქსი“ – „ფილადელფია ფლაიერზი“ 7:4. სერიაში დაწინაურდნენ გამარჯვებულები – 3:2. მეექვსე შეხვედრას ფილადელფია უმასპინძლებს.



ინტერნეტიდან

## მაღალი მორალური პრინციპებით

**ფეხბურთის საერთაშორისო შტაბი – ფიფა – ფიქრობს, მომავალი მუნდიალი ჩაატაროს მაღალი მორალური პრინციპებით. მისმა ჩინოვნიკებმა მიიღეს გადაწყვეტილება სამხრეთ აფრიკის სტადიონებზე პრეზერვატივებისა და შესაბამისი ლიტერატურის უფასოდ დარიგების აკრძალვის შესახებ. თუმცა ამან გამოიწვია სათანადო ორგანიზაციების დიდი უკმაყოფილება.**

შიდსთან მებრძოლებმა მიმართეს ფიფას, გამოხატეს რა თავიანთი მრისხანება მატჩების ჩატარების ადგილებზე სპეციალური კაბინებისა და გამაჯანსაღებელი ცენტრების მოწყობის აკრძალვის გამო. იქ ხომ მსურველებს შეეძლოთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებათა და საჭირო ბროშურების მიღება.

როგორც პრესა იტყობინება, სამხრეთ აფრიკაში შიდსთან ბრძოლის ათი წამყვანი ორგანიზაცია აღშფოთებულია იმ ფაქტით, რომ ფიფამ აკრძალა ცხოვრების ჯანმრთელი წესის პროპაგანდა, ალკოჰოლს კი ტურნირის სპონსორები სრულად თავისუფლად ჰყიდიან.

როგორც ამ კავშირის წარმომადგენელმა მარკ ჰეივიტმა განაცხადა, ფიფა თავისი გადაწყვეტილებით მოქმედებს გულშემატკივართა ინტერესების წინააღმდეგ, ხოლო ამ ქვეყანაში ჩამოსვლის მსურველთა უზარმაზარ რაოდენობას გაუჩინეს დაავადების დიდი რისკი. ფიფა ჯერჯერობით კომენტარს არ უკეთებს შიდსთან მებრძოლთა ამ განცხადებას.

## ერთმანეთი მაინც იპოვეს

**როგორც ამბობენ, ბუქარესტის „სტიაუას“ ნახევარმცველმა ადრიან კრისტიამ და „პლეიბოის“ მოდელმა ბიანკა დრაგუშანუმ მაინც მიაგნეს ერთმანეთს. დიდი ხანია, რუმინეთში (და არა მარტო იქძ დადის ხმები, რომ ამ ახალგაზრდებს შორის რაღაც ხდება, რომ ისინი ხვდებიან ერთმანეთს და ა. შ. თუ რა იყო მათ შორის, ალბათ საიდუმლოდ დარჩება. მაგრამ ადრიანასადმი თავის მისწრაფებას ქალიშვილი არ ფარავს.**

ვფიქრობთ, არც თავად ფეხბურთელია მისდამი გულგრილი, რამეთუ უკვე მკერდზე ატარებს ლამაზმანი დრაგუშანუს სურათს.

ჯერჯერობით გაურკვეველია, მართლა დაახლოვდნენ თუ არა ისინი. არა და ბიანკას თაყვანისმცემლები არ ელევა. თუკი ადრიანმა მას თავისი გული მიუძღვნა, ეს ქალიშვილმა უფრო ადრე გააკეთა.



**არის წინადადება!**

# ჯიქთუბანი უნდა აღდგეს

**ჯიქთუბანი ერთ-ერთი ძველი ისტორიული ტოპონიმია. მას სამ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. საბჭოთა ხელისუფლებამ ადმინისტრაციული დაყოფის დროს რატომღაც უპირატესობა ტოპონიმ ეწერს მისცა და ფაქტობრივად ჯიქთუბანი მიმოქცევიდან ამოვარდა. დღესაც სოფელს ეწერი ჰქვია, ისეთი ისტორიული სახელი როგორიც ჯიქთუბანია, დავიწყებას მიეცა. ეს კი არ ეკადრებათ ჯიქთუბნის მკვიდრთ: კახიანებს, კალაძეებს, ვაშაკიძეებს, კოპალეიშვილებს, დიდიძეებს, შილაკაძეებსა და რაზმაძეებს.**

ჯიქთუბანი, რომ ძველი ისტორიული ტოპონიმია, ამის დასტურად ორ საარქივო დოკუმენტს დავიმოწმებ. ორივე დოკუმენტი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. დოკუმენტები მე-17 საუკუნისაა და გამოქვეყნებულია კრებულში; „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის I წიგნი, თბილისი, 1964 წ. გვ. 283“.

„ჯიქთუბანი (ჯიქთობანი) სოფელი, ერთ შეწირულების წიგნში მოხსენიებულია ჯიქთუბნის სასახლე XVII საუკუნისა. ჯიქთუბანს ედო ჯუმალის გამოსაღები: 80 კოკა ღვინო, 8 ურემი ღომის ღომი, 12 საკლავი.

ჯიქთუბნის მთავარანგელოზის მონასტერი მამია დადიანმა შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს 12 კომლი კაცითურთ“.

ამ დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ მე-17 საუკუნეში ჯიქთუბანში მთავარანგელოზის სახელზე აშენებული ყოფილა ეკლესია და სოფელში სასახლე მდგარა. იმ დროს ჯიქთუბანში საკმაოდ განვითარებული ყოფილა მესაქონლეობა. მოჰყავდათ ღომის ღომის დიდი მოსავალი, ჰყავდათ ბევრი მსხვილფეხა საქონელი. დღევანდელობისთვის დამაფიქრებელი ცნობაა...

აქ მოტანილი დოკუმენტები იმის საშუალებას გვაძლევს, რომ უნდა აღდგეს ძველი ტოპონიმი და სოფელს დაუბრუნდეს მისი ისტორიული სახელი ჯიქთუბანი. ეს საკითხი უნდა მოაგვაროს სამტრედიის რაიონის ხელმძღვანელობამ და სოფლის მოსახლეობამაც. მერწმუნეთ, ამით ჭეშმარიტად კარგი სამომავლო საქმე გაკეთდება.

**დურმიშხან ცინცაძე**

**სტილი**

## რატომ ჩამოუცურდათ მამაკაცებს შარვალი?

**ახლა კვლავ დაიწყეს ძველი ფილმების ხშირი ჩვენება, ისეთებისა, როგორიცაა „კარნავალის ღამე“ და სხვ. როდესაც მათ ვუყურებდი, ყურადღება მივაქციე იმას, რომ ადრე მამაკაცებს შარვლები ეცვათ აწეული, წელზე მოჭერილი. დღეს კი მათ შარვლები ისე დაბლა ჩამოუვარდათ, რომ ქვედა საცვალსაც ვერ ფარავენ. არ მესმის, საიდან მოდის ასეთი მოდა?**

**ო.ნიკიტინა**



ტიმატიც ტანსაცმლის ასეთი სტილის მოყვარულია

**უპასუხებს მოდის ისტორიკოსი, პროფესორი, ტელეწამყვანი ალექსანდრ ვასილიევი:**

— ეს მოდა ჩვენთან ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოვიდა. უფრო ზუსტად, ამერიკის ციხიდან. პატიმრებს ართმევენ ქამრებს – რომ მათ არ იჩხუბონ, ან თავი არ მოიკლან. ციხეებში კვებავენ ცუდად, პატიმრები ციხეში ჯდომის დროს სუსტდებიან – და აი, შარვლებიც ეჩაჩებათ დაბლა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ეს ხალხი ტრაბახობდა, რომ ისინი ამჟამად მოხერხებული არიან, ვინაიდან, როგორც ამბობენ, „მოახრჩვეს თავიანთი ვადა“. ამას რომ ხაზი გაუსვან, ისინი ატარებენ ჯინსებს, ძველებურად უქამროდ. თანდათანობით ეს ჩაჩაჩული შარვლები გადავიდა რეპერების მუსიკალურ კლიპებში. მუსიკალური კლიპების სუბკულტურამ კი უკარნახა ასეთი მოდა და ახალგაზრდობის ასეთი ქცევის მანერა. ციხური მოდის ეს დიქტატი გაგრძელდება მანამ, სანამ ამერიკული კულტურა წამყვან როლს შეასრულებს მსოფლიოში.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

დანართი №2

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

**სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“**

**აცხადებს აუქციონს**

**ამორტიზირებულ მცურავ საშუალებაზე (სადარაჯო ხომალდი „აიეტი“, ბორტი № P-22ძ**

**მდებარეობა: ქ.ფოთი, ახალი პორტი, სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი**

**ქონების რეალიზაცია აუქციონზე განხორციელდება ერთ ლოტად.**

| № | დასახელება | საქონლის სრული ღირებულება, ლარი | ბიჯი, ლარი |
|---|---|---|---|
| 1. | სადარაჯო ხომალდი „აიეტი“, ბორტი № P-22 | 85000 | 2000 |

**გამყიდველი – სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი (სსსტცძ „დელტა“.**

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.**

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები, პირობები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი „ბე“-ს სიდიდე არ უნდა იყოს ლოტის საწყისი ღირებულების 50 %-ზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკური პირებისათვის არის 90 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისათვის – 100 ლარი, გადახდილი უნდა იქნას **სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალურ ფილიალში, ბანკის კოდი – 220101502, ანგარიშის ნომერი – 120236700.**

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს სსიპ სსსტც „დელტას“ მოთხოვნებს, პირი იძენს მონაწილის სტატუსს.

მყიდველი ვალდებულია აუქციონზე გამარჯვებულად აღიარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს საქონლის საბოლოო ღირებულება (აუქციონზე გამარჯვებულ პირს შეტანილი „ბე“ ეთვლება ანგარიშსწორებისას), წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები უქმდება და გამარჯვებულ პირს „ბე“ არ უბრუნდება.

თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

მყიდველი ვალდებულია საბოლოო ანგარიშსწორებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღის ვადაში საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს საქონლის გატანა მისი განთავსების ადგილიდან.

საკუთრების უფლება შეძენილ ქონებაზე გადადის მყიდველზე მის მიერ თანხის სრულად დაფარვის შემდეგ, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ხდება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 2010 წლის 8 ივნისიდან 2010 წლის 8 ივლისის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს – 10 საათიდან 11 საათამდე. შემდეგ მისამართზე: სსიპ სსსტც „დელტა“, ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.

აუქციონი გაიმართება 2010 წლის 9 ივლისს 11 საათზე, მისამართზე: სსიპ სსსტც „დელტა“, ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.

**აუქციონში მონაწილეობისათვის აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (ამასთან უნდა მიეთითოს თანხმობა გამოცხადებული პირობების შესრულებაზე);

– „ბე“-ს შეტანის დამადასტურებელი და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შეძენილი ბილეთის საბანკო ქვითრები;

– პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

– ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახით;

იურიდიული პირი წარადგენს განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს მეწარმეთა და არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს.

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა:**

აუქციონში გამარჯვებულია ის, ვინც დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**

**ტელ.: 95-28-28,**

**მისამართი: სსიპ სსსტც „დელტა“, ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.**

**მოგვმართავენ, გვეკითხებიან**

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ პენსიონერი. დანიშნული მაქვს პენსია თვეში 87 ლარის ოდენობით. უკიდურესად მიჭირს, ვინაიდან ჩემი ორი შვილიდან, ერთი ინვალიდია, მეორე – უმუშევარი. ახლა კონკრეტულად იმაზე, რისთვისაც გაწუხებთ:**

**– 2009 წლის 7 დეკემბერს ჩემს მეუღლეს დაემართა ინსულტი, რის გამოც გაუკეთდა ოპერაცია სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ინსტიტუტში. ჩვენ პოლისი არ გვქონდა, გამგეობის დახმარებითა და საკუთარი ძალებით გადავიხადეთ ოპერაციის ფული, მაგრამ ავადმყოფი მდგომარეობიდან ვერ გამოსიდა, რის გამოც აპარატზე იყო მიერთებული. დღეში ვიხდიდით 500 ლარს. როცა ესეც უშედეგო აღმოჩნდა, წავიყვანეთ სახლში, სადაც იმავე ღამეს დაიღუპა; დაგვრჩა ვალი 2320 ლარი, რომლის დასაფარავად ყოველთვიურად ჩემი პენსიიდან ვიხდი 50 ლარს და წამლის ფულიც არ მრჩება...**

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი უკიდურესად მძიმე მდგომარეობა და მიიღოთ შესაბამისი ზომები, რათა მთავრობამ დედოფლისწყაროს სახალხო ბანკში შეტანილი 50 000 რუსული რუბლიდან დამიბრუნოს 2320 ლარი ან ჩამომაწერეთ 2320 ლარი, საიდანაც 150 ლარი უკვე გადახდილი მაქვს.**

**ც. ჩუთლაშვილი**

**დედოფლისწყარო**

**პასუხი:** თქვენი წერილი გულდასმით განვიხილეთ და განვიცადეთ თქვენი მდგომარეობა; მართლაც უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩენილხართ მეუღლის მძიმე ავადმყოფობისა და გარდაცვალების გამო.

აქვე გაცნობებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მოკლებულია კანონიერ შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი თხოვნა ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ინსტიტუტში არსებულ თქვენი დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით.

უარყოფითი პასუხისთვის ბოდიშს გიხდით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 99-62-77.**

**ნუგზარ ქავთარაძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება**

**ლევან ზურაბიშვილის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

---

**შვილები გურამ, ლალი მონიავები, შვილიშვილები ირაკლი, გიორგი ჩხაიძეები, გიორგი, ქეთი მონიავები, სიძე ოთარ ჩხაიძე, რძალი ლია გობრონიძე და ახლო ნათესავები იუწყებიან**

**ეთერ კონსტანტინეს ასულ მონიავას**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 VI, 17 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №30. გამოსვენება 10 VI, 14 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.**

---

**ახალი ამბების სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი“ თანაგრძნობას უცხადებს გურამ მონიავას და ირაკლი ჩხაიძეს დედისა და ბებიის, ქალბატონ**

**ეთერ მონიავას**

**გარდაცვალების გამო.**

**ინფორმაცია**

## რიკოთის გვირაბი დაიკეტა

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში დეპარტამენტის თავმჯდომარემ რამაზ ნიკოლაიშვილმა ბრიფინგი გამართა, რომელიც შეეხებოდა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 142 კმ-ზე, რიკოთის საუღელტეხილო გვირაბში სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებას.**

როგორც ბრიფინგზე აღინიშნა, პროექტით გათვალისწინებულია, გვირაბის სამაგრისა და ჰიდროიზოლაციის სისტემის რეაბილიტაცია (შეცვლა) უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით; ევროსტანდარტების შესაბამისად, ხანძარსაწინააღმდეგო, სავენტილაციო, განათებისა და ელექტროუზრუნველყოფის სისტემების მოდერნიზება, ასევე, ეკონომიურობის თვალსაზრისით, საკანალიზაციო სისტემის განახლება; ვიდეოკამერების დამონტაჟება სადღეღამისო მონიტორინგის რეჟიმით; გვირაბში მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების ღონისძიებების ევროპული სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფა და გზის სავალ ნაწილზე ასფალტო-ბეტონით საფარის მოწყობა.

ნიკოლაიშვილის განცხადებით, რეაბილიტაციის პერიოდში საავტომობილო მიმოსვლა განხორციელდება რიკოთის გვირაბის შემოვლითი გზის მეშვეობით, რომელზეც გზების დეპარტამენტმა სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე განახორციელა.

სამუშაოებს ასრულებს ჩინური სამშენებლო კომპანია „სინოჰიდრო“.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**განცხადება**

**2010 წლის 22 ივნისს სს „ინჟმშენის“ იურიდიულ მისამართზე: თავისუფლების მ. №4, 2 ბ კორპუსი, ჩატარდება აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

სს „ინჟმშენის“ 2009 წლის შედეგების განხილვა;
სხვადასხვა საკითხი.

**სს „ინჟმშენის“ სამეთვალყურეო საბჭო.**

## დაიჯესტი

### მცვივან ფრინველთა ღამეები

**ერთი შეხედვით ინდოეთის ასამის შტატში ჯატინგის ველი სხვებისგან არაფრით გამოირჩევა, გარდა იმისა, რომ ყოველ აგვისტოში აქ მეზობელი სოფლებიდან უამრავი ხალხი იყრის თავს, რათა ერთობ უცნაური, „მცვივან ფრინველთა ღამე“ იხილონ. ეს გაზვიადება არ გეგონოთ, ბატონებო: ზაფხულის მიწურულს, რომ მოსაღამოვდება, სოფლის მოედანზე კოცონებს ანთებენ, ხოლო შუაღამეზე ჰაერში ფრინველთა გუნდები ჩნდება, რომლებიც ისე დაბლა დაფრინავენ, რომ ბამბუკის ჯოხით მათი ჩამოგდება თავისუფლად შეიძლება.** ზოგიერთი სულაც თავისით ეცემა მიწაზე და სოფლის



მცხოვრებლები სახელდახელოდ პუტავენ, შიგნავენ და წვავენ. „ფრინველთცვენა“ გადაბმულად ორ-სამ ღამეს გრძელდება, თანაც მრავალი ათეული წლის მანძილზე რეგულარულად მეორდება, ჯატინგის მცხოვრებნი კი ირწმუნებიან, რომ ღმერთები მათ ასე ლაღობისთვის აჯილდოებენ.

ცნობილმა ინდოელმა ორნიტოლოგმა სინგუპტამ „ჯატინგის ველის ამბავი ევროპისა და ამერიკის მრავალ სახელოვან მეცნიერს აცნობა, რომელთა ერთსულოვანი აზრით მსგავსი მოვლენა მსოფლიოში სხვაგან არსად ხდება. დოქტორმა სინგუპტამ „ფრინველთცვენამდე“ სოფელთან მაღალ ანძაზე მძლავრი ნათურა დაამყენა, მაგრამ ფრინველთა უმეტესი ნაწილი მაინც მოედანზე დანთებულ კოცონებთან მიფრინდა.

აღმოაჩინეს კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება: ჯატინგის ველი ზუსტად არის ორიენტირებული ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით, სოფლის ორივე მხარეს ტყის მასივები ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება და იქ ერთი და იგივე სახეობის ფრინველები ბინადრობენ, მაგრამ კოცონებთან ისინი მხოლოდ ველის ჩრდილოეთი ნაწილიდან მიფრინავენ, თანაც მხოლოდ მაშინ, როცა ქარი სამხრეთიდან უბერავს.

დოქტორი სენგუპტა ამას ასე ხსნის: ცნობილია, რომ ორიენტაციას ფრინველები იღებენ მზით, ვარსკვლავებით, ასევე დედამიწის მაგნიტური და, შესაძლოა, გრავიტაციული ველებითაც, თანაც ზოგიერთი მათგანი ჰაერის წნევის უმნიშვნელო ცვლილებასაც კარგად გრძნობს მაშინაც კი, როცა ამინდის შეცვლის სხვა ნიშან-წყალიც არ არის. როგორც ჩანს, ჯატინგის ქვეშ არის მძლავრი ანომალიის ცენტრი, თუმცა ფრინველებზე ის მხოლოდ გარკვეული ამინდის პირობებში და მხოლოდ უმთვარო ღამეებში მოქმედებს. აი, სწორედ მაშინ ხდება რაღაც ისეთი, რაც შუაღამეს ფრინველებს ბუდეებიდან წამოშლის ხოლმე და სოფლის გზას გაუყენებს.

საგულისხმოა, რომ შიგ სოფელში ბინადარი ფრინველები ფრინველთცვენის ღამეებში თავიანთ ბუდეებში რჩებიან, სამაგიეროდ ღღისით შემოგარენ ტყეებში არასოდეს მიფრინავენ.

### სად ბახი და სად – ლექსენი

**ამერიკელი აკვალანგისტი და ფოტოგრაფი დან ვაგნერი, რომელმაც სახელი გაითქვა წყალქვეშა გადაღებებით, ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ დელფინებს კლასიკური მუსიკა ძალიან მოსწონთ, ხოლო თანამედროვე როკ-მუსიკის მოსმენა არ სურთ.** ბაგამის კუნძულებზე ჩასულმა ვაგნერმა მძლავრი დინამიკები წყალქვეშ 10 მეტრის სიღრმეზე მოათავსა და ზღვის ბინადართ ნამდვილი კონცერტი გაუმართა. როგორც კი ფოტოხელოვანმა ბახის ცნობილი კომპოზიციები ჩართო, დინამიკებთან უმალვე ცხრა დელფინი გაჩნდა, რომლებმაც თავისებური „ცეკვა“ დაიწყეს, განსაკუთრებით კი ფლეიტის ბგერები ხიბლავდათ. მაგრამ როგორც დან ვაგნერი ბახიდან თანამედროვე როკ-მუსიკაზე გადავიდა, დელფინებმა უკან მოუხედავად ღია ზღვისკენ გაცურეს.



## დღის კალენდარი

### 8 ივნისი

**ხსენება 70-თაგან წმიდა მოციქულების კარპესი და ალფესი, წმიდა მოწამეთა ამზერკისა და ელენესი, გიორგი ახლისა და ალექსანდრესი, ღირსი მამის იოანე პსიქაელისა, აღმსარებლისა.**



**ამოდის 04.27**
**ჩადის 19.34**



**ამოდის 01.19**
**ჩადის 15.29**

### დაიბადნენ:

**1625 – ჯოვანი დომენიკო კასინი,** იტალიელი ასტრონომი, აღმოაჩინა სატურნის თანამგზავრები: იაფეტი, რეა, ტეტისი და დიონი. გარდაიცვალა 1691 წელს.

**1810 – რობერტ შუმანი,** გერმანელი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1879 წელს.

**1837 – ივან კრამსკოი,** რუსი მხატვარი-პორტრეტისტი. გარდაიცვალა 1887 წელს.

**1869 – ფრენკ ლოიდ რაითი,** ამერიკელი არქიტექტორი. გარდაიცვალა 1936 წელს.

**1916 – ფრენსის ჰარი კომპტონი,** ინგლისელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1926 – ბადრი კობახიძე,** ქართველი მსახიობი და რეჟისორი.

### გარდაიცვალნენ:

**1695 – კრისტიან ჰუიგენსი,** დანიელი ფიზიკოსი და ასტრონომი.

**1845 – ენდრიუ ჯექსონი,** აშშ-ს მე-7 პრეზიდენტი.

**1876 – ჟორჟ სანდი,** ფრანგი მწერალი ქალი, სიყვარულის რომანების ავტორი.

### მოვლენები:

**1815 წელი** – რუსეთმა პოლონეთის სამეფოს კონსტიტუცია უბოძა.

**1824 წელი** – ნოა კაშინგმა სარეცხი მანქანა დააპატენტა.

**1869 წელი** – აივზ მაკგაფნიმ მტვერსასრუტი დააპატენტა.

**1994 წელი** – გამოვიდა საისტორიო ჟურნალ „არტანუჯის“ პირველი ნომერი.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**რუსეთი** – სოციალური მუშაკის დღე.

**კარელია** – რესპუბლიკის დღე.

**მედიანიუსი**

## ინფორმაცია

### მიწისძვრა საქართველოში

**გუშინ 13:26 საათზე, საქართველოში მიწისძვრა დაფიქსირდა. მიწისძვრის ეპიცენტრი გალის რაიონში იყო.**

**როგორც სეისმოლოგიურ ცენტრში განაცხადეს მიწისძვრის სიმძლავრემ რიხტერის შკალით 4,7 ბალი შეადგინა.**

**მკვეთრი ბიძგები იგრძნობოდა სამეგრელოშიც.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +19 – +30 |
| ქუთაისი. | +27 – +36 |
| ბათუმი. | +20 – +31 |
| ზუგდიდი. | +21 – +32 |
| თელავი. | +18 – +32 |



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.9068 ლარი |
| 1 ევრო | – 2.2092 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6495 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7929 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.7803 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2484 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2798 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1422 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6456 ლარი |



## კადრი



## ანეკდოტები

**მთვრალმა მიხომ და მისმა ძმაკაცმა ტაქსისტის გაშაყირება მოინდომეს:**

**– ძმაკაც, შენი მანქანა სანაგვეს ჰგავს და ნაგავს არ წაიღებდი?**

**– კი, ბატონო, დაბრძანდით...**

* * *

**– გურული ხარ?**

**– კი, მარა ვმკურნალობ.**

* * *

**კახელმა „სპრაიტი“ იყიდა, დახედა და წაიკითხა – იყავი ის, ვინც ხარო.**

**დალია და ღვინოდ გადაიქცა.**

* * *

**პატრულმა მიხო გააჩერა, – საბუთები მაჩვენეო.**

**– კი, ბატონო, – უთხრა მიხომ და ქამრის შეხსნა დაიწყო.**

**– რას შვები, კაცო? – გადაირია პატრული.**

**– ბავშვობაში მამაჩემის ამხანაგები საბუთის ჩვენებას რომ მთხოვდნენ, შარვალს ვიხდიდი და ფულს მჩუქნიდნენ.**



* * *

**სვანი ზის და წამლებს ყლაპავს.**

**– რად სვამ ამდენ წამალს, ავად ხარ? – ეკითხება მეზობელი.**

**– არა, კაცო, ხვალ ვადა გასდის და ხომ არ გადავყრი...**

* * *

**სვანი ტანსა და სახეზე მაზუთს ისვამს.**

**– რას შვრები, ბიჭო, რად ითხუპნები? – ჰკითხა მეორემ.**

**– რა ვიცი, კაცო, განცხადებაში წერია, შავი მუშები გვჭირდებაო და...**

* * *

**ყოფილმა მეზღვაურმა სვანმა შვილებს ანდერძი დაუბარა, – რომ მოვკვდები, სამუდამო განსასვენებელი ზღვაში მიმიჩინეთო.**

**მოკვდა სვანი. შვილები კი საფლავის გათხრისას დაიხრჩვნენ.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.